წელიწადი 1911 პირველი

ორშაბათი, 11 აპრილი № 14

თეში

ორშაბათი, 11 აპრილი № 14

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპოდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის. რედაქციაში (Головинскій просп. д. МИРЗОЕВА, № 32. ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა
1911 წლისათვის
გაზეთ თეშზე

ფასი გაზეთისა:

წლიურათ	2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით	2 მ.
სამი თვით	1 მ.

განცხადებათა ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	15 კ.
უკანასკნელ გვერდზე	10 კ.
ტექსტის შუაგულს	20 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა	3 მ.

რედაქტორ-გამომცემელი ბრიბოლ დიასამიძე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: Головин. пр. д. МИРЗОЕВА, 22, гдѣ книжный магазинъ „Новая Рѣчь“.

Адресъ Телеграфный ANITAS
Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами
Тифлисъ. Баку. Батумъ.
Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ
უდიდესი საალ-დგომო გამოფენა
უვნებელი ფერადები
კვერცხისათვის
ფრანქფურტის ფხვნილი—საშუალება ცომის ასაფუებლად.
ვანილი, ზაფრანა, ილი, ჯავზი, ჯავზის ნაფხეკი სუნნელი; ტკბილი და მწარე ნუში, ლიმონის და ვარდის ზეთი; სუნნელოვანი კვერები ლიკორებისა და „ნალივკებისათვის“ და სხვ.

ხელოვნური კბილები

გაკეთება ხელოვნური კბილებისა ოქროზე, კაუჩუკზე, ხელოვნურ სასაზე და უსასაოდაც, აგრეთვე სოლებით დამაგრებულ ფესვებზე. ჭია ნაჭამ გაწმენდილ კბილებზე ოქროს ანუ ფაიფურის ხელოვნური კბილების ჩამოცმა. წინა კბილების და ღოჯების გასწორება სრულებით უტკივრად.
კონსტანტინე ქავთარაძე.
მიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.
მუხრანიანთ ქუჩა, სახლი № 5.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის
ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. 11½—12 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.
შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.
ბ. ვ. სოგოლევსკი—ყოვ. ღღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.
ფასი რჩეულისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.
წამლობა „606“-ით

რესტორანი
„კაფე-პარიზი“
ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)
ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები“ სხვა და სხვ.
ბუტერბროდები, ხაჭაპური.
საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.
საადილები: 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან
მინერალური წყლები
ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ლუდი ბოთლებით და ჯიქებით.
ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება საჭმელების მოთხოვნა ცალკე კარტითაც. თვიურად შეღავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთაე და წესიერება.
პატივისცემით თოფურია.

ქართული თეატრი 1911 წ.

კვირას 17 აპრილს

შაქრო საფაროვი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ანტონ ფურცელაძის ცნობილი პიესა

დიდი მოურავი

დრამა 5 მოქმ. და 14 სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნა: კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი, ვიქტორელი, ბ-ნნა: ვ. აბაშიძე, გუნია, არადელი, შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ივანიძე, საფაროვი, მატარაძე, ჟვიძე, მდივანი, მამფორია, ციცოშვილი და სხ.

ადგილების ფასი 30 კ.-დან 2 მ. 50 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. გამგე **შ. საფაროვი.**

გაზაფხული

მესმის! მესმის ჟღივილის ხმა,
შეფრთქიალდენ ჩიტუნები
და გაისმის ყოველის მხრით
გაზაფხულის ტკბილი ხმები.

—

გაიღვიძეთ! ნუღა გძინავთ!..
გაახილეთ ყველამ თვალი!..
ვერა ჰხედავთ, რა ჭიკჭიკით
გვეგებება ჩვენ მერცხალი?

—

მაღლით მთიდან ხმა გაისმის
გულს ხვდება და ატკბობს ყურსა!..
აგზნებულა შაშვი!.. ჰხაროობს
და გაჰკივის სალამურსა.

—

დაბლა—ბარში ათასს ჰანგზე
ვარდის ჩიტი, ბულბული სტვენს;
ღირსს და უღირსს გაურჩევლად
ყველას ატკბობს! სიამეს ჰფენს.

—

ეს ხომ ყველა ნიშანია,
რომ ახლოა გაზაფხული?!
პირუტყვიც კი იშმუშნება,
ზამთრისაგან დაჩაგრული.

—

მაშ გაზაფხულს ჩვენც ველოდეთ!..
წმინდად მივსცეთ ხელი-ხელსა
და გავჰკაფოთ ახალი გზა!..
აუქციოთ მხარი ძველსა.

—

გვახსოვდეს რომ პატიოსანს
ოფლს მოითხოვს სამართალი
და ტანს გასწმენდს, ჩირქიანსა,
მხოლოდ მარტო წმინდა წყალი.

—

არც სისხლით და არ ცრემლებით
არ იქნება ტანის ბანა!..
შრომაშია მხოლოდ შვება
და ცხოვრების გამოცანა!..

აკაკი.

ფიქრი აღდგომა დღეს.

მწუხარედ ვიჯექ ჩემს მაგიდასთან და უიმედოდ დავყურებდი. კალამს. რედაქციის მონდობილობით უნდა დამეწერა სადღესასწაულო წერილი. ათასნაირი აზრი მიტრიალებდა თავში. მინდოდა ყველა დალაგებით მიმენდო ქაღალდისათვის, მაგრამ ერთად-ერთი მთავარი აზრი სჩაგრავდა დანარჩენებს და მიწამლავდა გონებას—ქრისტეს ჭეშმარიტების მუდმივი მზაკვრული დევნა ამ ქვეყნად, ჩვენი ცხოვრების სიყალბე და სიფუქსავატე.

კალამი არ მემორჩილებოდა. მას სურდა საშინელი საბრალმდებლო ოქმი შეედგინა ადამიანისათვის.

ამ დროს გაიღო ჩემი ოთახის კარი და შემოვიდა ბავშვი. მას დაენახა, როგორ მიჰყავდათ სადღესასწაულო ზვარაკი დასაკლავად. მსხვერპლის გულსაკლავი ხმა უგმირავდა გრძნობიერს ნორჩს გულს.

შემოვიდა და მითხრა:

— ნუ თუ არ შეიძლება, რომ ამ სადღესასწაულო წმინდა აღდგომა დღეს არ დაიღვაროს პირუტყვის სისხლი? განა საჭიროა ჩვენი სიხარული სხვის უბედურებაზე დავამყაროთ?

— სამწუხაროდ, ეს დიდი ხნის ჩვეულებაა, ჩემო კარგო!—მოკლედ ვუპასუხე. ბავშვი მიხვდა, რომ საბაასოდ არ მეცალა. გაიქნია თავი და გავიდა ოთახიდან.

ის ვერ მიხვდებოდა, რა სამსახური გამიწია ჩემი მოვალეობის ასრულების დროს. მისმა შემოსვლამ გული მომიმლო.

ჩაუკვირდით ამ უბრალო წრფელ სიტყვებს უმანკო არსებისას.

დიდებული აზრიანი დღესასწაული და სისხლის ღვრა!..

ბავშვი ამბობდა მხოლოდ იმ სისხლის ღვრაზე, რომელსაც თვალით ხედავდა.

მას ვერ წარმოედგინა, რომ ადამიანი მარტო პირუტყვის სისხლს კი არა ღვრის, არამედ იგი თავისიანს, სხვა სულდგმულსაც არ ინდობს.

რამდენი წელი სცხოვრობს კაცობრიობა, ვერ უცხოვრია კი სისხლის დაუღვრელად!..

იხრწნება სული, ფუჭდება გული. იბადება წმინდა არსება—ბავშვი, კვდება გახრწნილი პიროვნება—ადამიანი. არის დღე, არის წუთი, როდესაც ადამიანის მთელი ყურადღება, ფიქრი უნდა იყოს მიქცეული სულისა და გულის განსპეტაკებაზე.

ასეთია **აღდგომის** მნიშვნელობა. დღეს მაინც ჩავიხედოთ ღრმად ჩვენს სულსა და გულში. არ შეიძლება არ აღმოვაჩინოთ მასში ისეთი რამ, რომელიც მუდამ დარაჯად გვიდგას ჩვენ და გვეუბნება: „მოიცლეთ თავიდან ყველა ის, რაც გაცალკევებთ, გაბოროტებთ, იმიტომ, რომ სილამაზე, მშვენიერებაა მხოლოდ ის, რაც **აერთებს** ადამიანთ, ხალხს, სიბოროტე, სიმახინჯე კია ის, რაც მათ ჰყოფს, აცალკევებს“. გავიხსენოთ აგრეთვე ჩვენი დიდებული მგოსნის უკვდავი სიტყვები: „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად სურს სისხლი კაცისა?!..“

აი გრძნობა გასაღვივებელი ჩვენს გულში!

ნუ თუ მოსასპობია ადამიანში ადამიანობა, ნამდვილი ჰუმანობა? დავადგინოთ ჩვენს გულშივე კანონი უტყუარი, თავისუფალი, ძალ-დაუტანებელი, არც ჩვენი თავის, არც სხვის დამჩაგრავი და გამაწბილებელი!.. და მაშინ მხოლოდ უფლება მოგვეცემა მივულოცოთ ერთმანეთს ქრისტიანული აღდგომა...

ბრილლი.

მგლოვიარე.

(ძველი და მუდამ კი ახალი ამბავი.)

. . . . . ვით ობოლი ყვავილი მთისა, მიუვალ ადგილას ბუჩქის ძირას ამოსული, მიმალულიყო მარიამ მაგდალინელი იოსებ არიმათიელის ბაღის ერთ ყრუ ხვივანში და შეშლილივით მისჩერებოდა ამავე ბაღის ბოლოში შეჯგუფულ ჯარისკაცებს.

ესენი სდარაჯობდნენ ამა ქვეყნის ძლიერთაგან წამებულ იესოს საფლავს.

განთიადი იყო. ის დრო, როდესაც ქვეყანასაც კი ერთი პირი ძილი მოუვა ხოლმე და სულიერი თუ უსულო არსნი სამყაროსა ხმა გაკმენდილი შეჰყურებენ ჩაბნელებულ ცის-კიდურს. მთვარეს კარგა ხანია მოესვენა. ცის გუმბათს ყომრალი ღრუბლები გადაჰკვროდა. აქა-იქ-ღა კიაფობდა თითო-ოროლა ვარსკვლავი და სევდა-მოსილნი მორცხვად ციმციმებდნენ, თითქოს ამათაც ეძინებათო.

დაღალული ჯარის-კაცები ასასებივით შემოხვეოდნენ იესოს სამარეს და შუბის ტარზე დაყრდობილნი მშვიდათ სთვლემდნენ.

არიმათიელის ბაღი წყვდიადს მოეცვა. ყვავილ-ბალახები ოდნავ, სულ ოდნავ ფშვინავდნენ. ლელვისა და ვაზის ფოთლებს თავები დაეხარათ და იქვე, მათ ძირში მოლუკლუკე წყაროს ცრემლებს აწვდიდნენ.

ყრუდ სტიროდა მარიამიც.

— იესო ტკბილო, იესო! გმინავდა მაგდალინელი და ხან პირქვე ემხობოდა და შავ-მიწას ჩაჰბღუოდა, ხან-კი ანკარასავით იხლაკებოდა და მზათ იყო თავისისავე ხელებით გაეფათრა მღელვარე მკერდი, მწარედ მკვნესარე გული ამოეგლიჯა და ხორცის ამ პაწია ნაკვეთიდან გამოეწურნა უკანასკნელი წვეთი სიცოცხლისა, უკანასკნელი ნაჟური სიყვარულისა!..

— იესო, იესო! ხავხავებდა მარიამი და თან ხორცებს იგლეჯდა.

დაიღალა, დაოსდა გრძნობათ-ქცეული მაგდალინელი, ერთხელ კიდევ დაიხლაკნა და სასმიხდილი ბალახებში გულ-აღმა-გადაესვენა.

სოსანი ხირღა ცალ მხარეზე მოჰქცეოდა, მანდილი თავიდან გადმოვარდნოდა, ხშირი აბრეშუმა თმები ჩამოშლოდა, წითელი მოვის პერანგი გადახეოდა, ოქროს ღილით შესაკრავი საკინძე ჩამოშლოდა და მთლად მოღეღილი ბროლ-ფიქალი გულ-მკერდი ზღვასავით უღელავდა.

იდო მშვენიერი სხეული მარიამისა გაუნძრეველად. ლურჯი,—ცის კამარა—თვალები უელავდა, მის ღაწვებს ძოწეული გადაჰკვროდა. გეგონებოდათ ღვთაება მშვენიერებისა ვნებათა ღელვით გადარეულ ღმერთს სიყვარულისას ყვავილთა შორის გამოუნაკვთავს, რომ დათვრეს მისის ეშხით და დაუსრულებლივ უმღეროს ჰანგები სიტკბოებისაო!..

ყვავილ-ბალახებმაც კი ვეღარ შესძლეს მშვენიერ ასულის საოცნებო მოღეღილ გულ-მკერდის მზერა, თავი დაბლა დახარეს და თრთოლვით მიეხუტნენ მარიამის მოელვარე გულს. ცელქმა გვირილამ ჟრჟოლა დაიწყო და ხანგამოშვებით გაუბედავათ დაეკონებოდა ხოლმე მაისის ვარდივით გაალისფერებულ, ქალის მკერდის კდემა-მოსილ კოკორს. იმ ღელვის ტოტებიც, რომელ ღელვის ქვეშაც იწვა მაგდალინელი, სულ დაბლა ჩამოეშვნენ და ნახევრად გატიტვლებულ მგლოვიარეს გატაცებით ჩააშტერდნენ...

მარიამი კი ისევ გარინდებული იწვა. იმის სულს თითქოს მიეტოვებინა ტურფა სადგური თვისი და სიყვარულის ნიავად გადაქცეული, დაობლებულ და დამწვარ დედაკაცის გულის ტკივილს ყრუ ხეივანს ჩურჩულით მოუთხრობდა.

— რაღა ვქნა მე უბედურმან?—ეკითხებოდა ერთ წერტილზე გაყინული ფიქრი მარიამისა გულჩათხრობილ მიდამოს. —ჩემი ღვთაება, ჩემი მაცხოვარი უსულოთ წევს შავი ლოდის ქვეშ... მოჰკლეს უწმინდურებმა მშვენება ქვეყნისა, აწამეს გული ჩემის გულისა და სული ჩემის სულისა. ოხ, საზიზღარნო, წაგლეკავთ ჩემის ცრემლებით, დაგწვავთ ჩემს გულზე მოკიდებულ ცეცხლით. მომეცით, მომეცით ჩემი იესო!—

მარიამმა წამოიწია, გამწარებით მკერდზე ხელი მოიჭირა, მერე ისევ მიწაზე დაენარცხა და ქვითინი დაიწყო.

— იტანჯე, იტანჯე ჩემის წამებისათვის!—გველივით ჩაჰსისინა ვიღაცამ. მარიამი ფეხზე წამოიჭრა...

შორს, შორს გაისმა უწმინდური, შურით აღსავსე, ყრუ ხითხითი ხეებ შორის მიმავალი აჩრდილისა.

— იუდა, წყეულიმც იყავ ამიერ უკუნისამდე!.. შური იძიე, განა? რატომ არ გაგსრისე, როდესაც ჩემ ფერხთითა ხოხავდი და შებრალებას, სიყვარულს მთხოვდი, რატომ გველივით არ გაგიჭეჭყეე ეგ ცბიერი თვალები. რატომ მაშინვე არ ამოგგლიჯე ეგ ბოროტი ენა... მომეცი, დამიბრუნე ჩემი იესო, იესო მხსნელი ქვეყნისა, იესო ნუგეში მაშვრალთა, იესო თვალის-ეკალი მტარვალთა და ფარისეველთა! სასოწარკვეთილებით წამოიძახა მაგდალინელმა, წაბარბაცდა და გამეტებით თავი ლელვის ხეს მიანარცხა. ლელვმა დაიკვნესა და თანაგრძნობის ნიშნათ თვის გარშემო შემოქნილი თმები მარიამისა თავის ფოთლების ცრემლებით დანამა.

— დედაკაცო! რასა ჰსტირ? ახლა სხვა მხრიდან მოესმა მარიამს, წყნარი, გრძნობით აღსავსე ხმა მეორე კაცისა.

მარიამი განთიადივით აენთო: სახე გაუღაჟღაჟდა, თვალები იმედის შუქით გაუბრწყინდა. ერთს წუთს თითქოს გაიზარდა კიდეც, გაფთქვინდა. მისმა სახე-გულ-მკერდის შუქმა იქაურობა გაანათა.

ახოვანი, მშველივით ყარყარა და გედივით ამაყი მარიამი გაშტერებით ჩააცქერდა ღამის წყვდიადს. ყური წაუგდო...

— დედაკაცო! რასა ჰსტირ?—

— ჰა!.. ვინა ხარ?.. მებაღე? - უნუგეშოთ შეეკითხა მარიამი ტ ღერო მოტეხილ ყვავილივით ჩაიკეცა.

— უფალო, უკეთუ შენ აღიღე გვამი იესოსი, მითხარ მე სადა დასდე, და მე წარმოვიღო იგი!—როდის, როდის ამოიკვნესა მარიამმა და სახე უფრო დაუსევდიანდა.

— მარიამ! მე ვარ, ვერ მიცანი? კვლავ გაიმეორა კაცმა.

— შენა?.. ჩემი იესო?!. ოხ, ღვთაებაო!—აღტაცებით შესძახა მარიამმა და გადასახვევნათ წაეტანა.

იესომ უკან დაიხია, საუაროდ ხელი გააქნია და ყრუდ უთხრა:

— ნუ შემეხები მე, რამეთუ არღა ავსულვარ მამისა ჩემისა!

მაგდალინელს თვალთ დაუბნელდა, გულს შემოეყარა და მოთიბული ბალახივით მიწას განერთხო.

თენდებოდა. ჩაბნელებულ ქვეყანას სახე თანდათან ულამაზდებოდა. აღმოსავლეთით, ცის ტატნობზე, ამოიმართა ალიონი და მიძინებულ მიდამოს ღიმილით გადმოხედა.

მარიამი გამოირკვა და სევდით სავსე თვალები მიდამოს შემოავლო. იესო იქ აღარ იყო. მხოლოდ შორი-ახლოს ერთ ვერხვის ტოტზე საკოდავათ ჭანაობდა გვამი იუდა ისკარიოტელისა და მისი ჩალურჯებული, საზარელი თვალები ისევ შურით გადმოჰყურებდნენ მწუხარებისაგან გონება დაბნეულს მშვენიერ ასულს ისრაელისას.

ია ეკალაძე.

7 აპრილი, 1911 წ.

* * *

უიმედო სევდით სავსე შევყურებდი ყოველივე იმას, რასაც სხვა ცხოვრების ულმობელ ტალღას უწოდებდა და რასაც უგუნურად უნდა გაეთელა ჩვენი სიცოცხლე...

რასაც სიწყნარე-სიმშვიდე უნდა მოესპო ჩემ მახლობელთა და ნათესავთათვის...

აშკარათ ვგრძნობდი, რომ ძირს მივექანებოდით, მაგრამ უძლური ვიყავ შემეჩერებინა ეს როგორმე...

თუმცა გულით კი ვიწოდი... წარსულს, თვალ-მომჭრელ და ლამაზ წარსულს, რომლის მოტრფიალე მუდამ ვიყავ, მოწიწებით—მუხლ-მოდრეკილი—თვალს ვადევნებდი...

ვდუმდი, მაგრამ აუცილებელ საჭიროებას კი ცხადად ვხედავდი...

ტანჯვა-ვაებას განვიცდიდი, მაგრამ ცივი გონება სულ სხვას ჩამძახოდა...

ასი წლის უკუღმა ნაგრეხი ძაფი უეჭველია ოდესმე უნდა გამწყდარიყო, ქეღმოხრილი და ურცხვი აწმყო უნდა გამქრალიყო...

ამასთან ერთად მრისხანე ქარიშხალი შეუბრალებლად ჰქელავდა ყოველივეს, რაც კი კაცს საკუთარ პირად ბედნიერებაზედ ეჩურჩულებოდა...

ზაფხული იდგა.

გულ-დამწვარი, დაქანცული იქით მივეშურებოდი, სადაც უკანასკნელი მახლობელი და სატრფო მეგულებოდა...

წარსულ მოკლე ბედნიერებასთან ეს ერთად-ერთი კავშირი კიდევ შემრჩენოდა... ეშიშობდი ესეც არ დამკარგოდა...

ავადმყოფი მომეგება და სამუსაიფოდ იქვე ბაღში მიმიპატიჟა.

„ეს ადგილი მეტად შემიყვარდა... იმ ჩვენ დიდებულ მუხას საოცრად მომაგონებს ეს გაშლილი ხე“...

სიტყვა უეცრად შესწყდა.

და მეც თვალზედ ცრემლი მომერია...

სჩანს წყლულები ჯერ კიდევ არ განკურნებულიყო.

ჟამთა სვლამ და ვითარებამ ეს უკანასკნელი არსებაც წამართვა, ყოველივე დაამსხვრია და ყოველივე კავშირი მომისპო წარსულთან...

მოგონებანი ჯერ კიდევ გულს მიკლავს... სისუსტესთან ჯერ კიდევ ბრძოლა არ შეწყვეტილა...

მაგრამ მომავალში პიროვნული სრული თავისუფლება მანუგეშებს და მედგარ დაუძინებელ ბრძოლისთვის მამხნევებს...

ქრისტე აღსდგა!..

დღესასაწაულის გამო გაზეთი გამოდის კვირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურებში რაღაც საიდუმლო ხმა ჩამძახის და დღე-დამ მოსვენებას არ მაძლევს...

საიდანღაც თბილი ნიავი მიალერსებს და საამო ტკბილი გალობა მოისმის...

ეს ჩვენები არიან, უეჭველია, ჩვენები...

ასი წლის გაციებული გული მაღალი გრძნობით, გაცისკროვნებულის აზრით ასძგერებიათ და ბრძოლისთვის გამზადებულან...

მაშ ჩემს საწადელს მივაღწიე?..

აი ჯილდო და საჩუქარი ზენით მოვლენილი!..

მაშ ეს სიზმარი არ უნდა იყვეს... ტანჯვას ოდესმე ბოლო უნდა მოჰღებოდა...

მთა, მინდორ-ველი კვლავ აყვავებულა და მზეს თვისი სხივები უხვად მოუფენია სისხლით მორწყულ არე-მარეზედ...

შორს ჩემგან სისუსტე! ვინაიდან მზა ვარ თვით ზეცას გამოვგლიჯო სატრფო და მით პირადი ბედნიერება, შეუბრალებლათ დათრგუნვილი, მოვიპოვო...

დიე სატრფომ კვლავ გაიხაროს...

ჩვენ დავსთმოთ ჩვენი თავი. სასიკეთილოთ გამზადებულნი მივეგებნეთ მას მკვდრეთით ამდგარს...

რომ მტერი კვლავ არ გავახაროთ...

ჯვარს არ ვაცმევინოთ განმეორებით!..

გ. ამირეჯიბი.

უცაბედად.

ამბავი ლეონ ტოლსტოისა.

ეს ამბავი დასტამბულია პეტერბურგის გაზ. „რეჩის“ 30 მარტის ნომერში. ამ ამბავთან ერთად დაბეჭდილია წერილი დიდებული მწერლის შეგობრის ვლადიმერ ჩერტკოვისა. ამ წერილიდან ვტყობილობთ, რომ ეს ამბავი არის უკანასკნელი ადამიანის **უკანასკნელი მბატვრული ნაწარმოები.**

ლეონ ტოლსტოი შარშან თიბათვის შუა რიცხვებში ესტუმრა თურმე თავის შეგობარს ვ. ჩერტკოვს სოფ. მუშჩერსკოეში, რომელიც ქვეს სადგურ სტოლბოვაისთან მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე. იგი მოსულიყო თავის სოფელ იასნაია პოლიანიდან ძალიან დაღლილი და დაქანცული სულიერად და ხორცეულად. სოფ. მუშჩერსკოეში ეს დახვდეს შეგობრები, რომელთაც ეოფელი ღონე იღონეს, რომ მწერალს სრული თავისუფლება და სულიერი მოსვენება ეგრძნო. მართლაც, ლეონ ტოლსტოი ამ თავის პატიოსმტკმულ და ერთგულ ხალხის წრეში მალე მოკეთდა, გამხიარულდა და კახალიდა. აქვე ბევრი თავის თხზულება დაამთავრა. სხვათა შორის დაუწერია ქვემად მოყენილი ამბავი. 20 თიბთვეს, როგორც თავის დღიურში მოგვითხრობს ლეონ ტოლსტოის პირადი მდივანი ვ. ბულგაკოვი, დადებული მწერალი მხიარულად მისულა ავანსზე მჯდომს თავის ქალთან ალექსანდრასთან და კადაუტია ეს თავის თხზულება. თანატ, თურმე იცინოდა და ზეპირად ამ ლექსს ამბობდა:

Сочинитель сочинялъ,
А въ углу сундукъ стоялъ,
Сочинитель не видалъ,
Спотыкнулся и упалъ.

ამავ დამესვე მწერალმა მოიწადინა, როგორც კარგმოგეცემს იკითვე ბულგაკოვი, ამ ამბის წაკითხვა ხმა-მაღლა. დაიწყო თუ არა კითხვა, ცრემლები მოერია და კადასცა ბულგაკოვს კითხვის კასაგრძელებლად.

ამ ამბის დაწერის შემდეგ, თურმე კიდევ სურდა გენიოსს შემოქმედებითი მუშაობა კანეგრძო, მაგრამ უცებ დაიბარეს დეპეშით იასნაია პოლიანიდან. დაბრუნდა ისევ თავის სოფელში ლეონ ტოლსტოი, მაგრამ სულიერი სიმშვიდის უქონლობის გამო ვერ განაგრძო მუშაობა. მალე ხომ დასტოვა თავის საყვარელი სოფელი, რადგანაც ცხოვრება იქ აუტანელი შეიქმნა.

—

ის დაბრუნდა სახლში დილის შეექვსე საათზე. ჩვეულებისამებრ შევიდა საპირფარეშო ოთახში, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ტანისამოსი გაეხადა, დაეცა, ჩაჯდა სავარძელში. ხელები მუხლებზე დასდო. იჯდა ასე უძრავად ხუთი თუ ათი წუთი ან ერთი საათი... მას არ ახსოვდა.

— ჩერვის შვიდიანი. გაჭრილია! მან დაინახა იმის საშინელი შეუდრეკელი სახე, რომელზედაც მაინც თავის თავის კმაყოფილება იხატებოდა.

— აი შე, ეშმაკო!—ხმა მაღლა წარმოსთქვა.

კარს იქით რაღაც ხმაურობა მოისმა. ღამის თავშალში, ნაკერ პერანგში, მწვანე ხავერდიანი ჩუსტებში შემოვიდა მისი ცოლი, არა-მაღალი ტანის, ჩასუქებული, ლამაზი ქერა-ქალი ნაზ-აღერსიანი თვალებით.

— რა დაგემართა?—დაეკითხა უბრალოდ და როცა შეხედა მის სახეს, შეჰყვირა იგივე—რა დაგემართა?!!! მიშო, რა დაგემართა?

— ის დამემართა, რომ დავიღუპე.

— თამაშობდი?

— კი.

— მერე რა?

— რა—რაღაცნაირ სიბრაზით განიმეორა მან—ის, რომ დავიღუპე! გული ამოუჯდა, ხოლო ცრემლი კი შეიკავა.

— რამდენჯერ გთხოვდი, გემუდარებოდი. ცოლს ეცოდებოდა ქმარი, მაგრამ თავის თავი კი უფრო, იმიტომ, რომ იცოდა ახლა გაჭირება დაადგებათ, აგრეთვე იმიტომ, რომ მთელი ღამე არ სძინებია, წვალობდა და ელოდა მას.

„უკვე ხუთი საათია“,—გაიფიქრა მან, პაწია მაგიდაზე საათს რომ შეხედა.

— ეხ, ჩემო მტანჯველო! რამდენი? იმან ორივე ხელი გაიქნია ყურებისკენ:

— სულ! სულ არა, მაგრამ ყველაზე მეტი, სუყველა ჩემი, სუყველა სახაზინო! მცემეთ, რაც გინდა მიყავით! მე დავიღუპე!—ხელები სახეზე მიიფარა.—მეტი აღარაფერი ვიცი-რა.

— მიშო, მიშო, მიყურე. შემიბრალე, მეც ხომ ადამიანი ვარ, მე მთელი ღამე არ მძინებია. შენ გიცდიდი, ვწვალობდი და აი საჩუქარიც. მითხარი, მაინც, რა? რამდენი?

— იმდენი, რომ არ შემიძლია, არავის არ შეუძლია გადიხადოს. მთლად 16 ათასი! გათავდა ყველაფერი. გავიქეცი.... მაგრამ, როგორ? ქმარმა შეხედა ცოლს. მოულოდნელად ცოლმა მოინადირა მისი გული. „რა ლამაზია!“—გაიფიქრა და ხელი მოჰკიდა. ცოლმა ხელი გამოსტაცა.

— მიშო, სთქვი რაღა რიგიანად, როგორ მოხდა?

— იმედი მქონდა წაგებულს დავიბრუნებდი. იმან ამოიღო პორტ-სიგარი და ხარბად დაიწყო წევა.—რასაკვირველია, მე საძაგელი ვარ. მე შენი ღირსი არა ვარ. დამტოვე მე. უკანასკნელად მაპატიე, მე მოგშორდები, გადვიკარგები. კატო მე არ შემეძლო, არ შემეძლო! მე თითქო ძილში ვიყავი. **უცაბედად** მომივიდა. ქმარი შეიჭმუხნა.—მაგრამ, რას ვიზამთ? სულ-ერთია დავიღუპე. მაპატიე. იმან ხელ-ახლა მოისურვა მოეხვია ხელი, მაგრამ ცოლმა გაჯავრებითაჯმოაშორა თავი.

— ახ, ეს საბრალო მამაკაცნი! მამაცობენ, სანამ ყველაფერი კარგად მიდის. როგორც კი წახდება, მაშინვე სასოწარკვეთილებას ეძლევიან და არაფრად აღარ ვარგანან.

სთქვა და გადაჯდა ტუალეტის მაგიდის მეორე მხარეს.

— მიამბო რიგიანად.

იმან უამბო ყველაფერი. უამბო როგორ მიჰქონდა ბანკში ეტლით ფული, როგორ შეხვდა ნეკრასკოვს. ამან ურჩია შემოსულიყო მასთან ქალაქდის სათამაშოდ. ითამაშეს. მან წააგო ყველაფერი და ახლა გადასწყვიტა თავის მოკვლა. ის ამბობდა თავი უნდა მოვიკლაო, მაგრამ ცოლი ხედავდა რომ მას არაფერი არ ჰქონდა გადაწყვეტილი. ის მხოლოდ სასო-მიხდილი ყველაფერზე მზად იყო. ცოლმა მოისმინა ყველაფერი და, როცა მან გაათავა, უთხრა:

— ეს სულ სისულელეა, საძაგლობაა. **„უცაბედად“** ფულის წაგება არ შეიძლება. ეს რაღაც სირეგვნეა.

— მლანძღე, რაც გინდა, მიყავი.

— მე ლანძღვა კი არ მინდა, მე მსურს გიხსნა, როგორც ყოველთვის დამიხსნიხარ, თუმც შენ საზიზღარი და საბრალო ხარ.

— მცემე, მცემე!.. ბევრ ხანს აღარ მოგიხდება.

— მაშ დამიგდე ყური. ჩემის აზრით, თუმცა საძაგლობა, შეუბრალებლობაა ჩემი წვალება... მე ავადა ვარ, დღესაც მივიღე... უცებ ეს ჯილდო.... ეს უმწეობა... შენ ამბობ: „რა ვქნათ“? ჰქმენი პირდაპირ აი ეს. ეხლა 6 საათია. წადი ამ წუთშივე ფრიმთან და უამბე მას.

— განა ფრიმი შემიბრალებს?! იმას არ შეიძლება ვუამბო.

— რანაირი სულელი ხარ, თურმე. ნუ თუ მე შენ გირჩევ უამბო ბანკის დირექტორს, რომ მიბარებული ფული ქალაქდში წაააგე... შენ უამბე, რომ მიდიოდი ნიკოლოოზის ვოგზალზე... არა, ეხლავე წადი პოლიციაში. არა, ეხლა არა, დილით 10 საათზე. შენ მიდიოდი ნიჩაევის ვიწრო ქუჩით. შენ დაგეცნენ ორნი. ერთი წვეროსანი, მეორე ოითქმის ბავშვი ბრაუნინგებით ხელში და წაგართვეს ფული. ამის იქმედგ მაშინათვე გაექანე ფრიმთან. იმასაც ესე უამბე.

— კი, მაგრამ... მან კიდევ პაპიროსი მოუკიდა. იმათ ხომ შეუძლიანთ ყველაფერი ნეკრასკოვისაგან შეიტყონ.

— მე წავალ ნეკრასკოვთან და ვეტყვი იმას. მე გავაკეთებ ამას.

მიშო დამშვიდდა. დილის 8 საათზე დაიძინა, როგორც მკვდარმა. ათ საათზე ცოლმა გააღვიძა.

* * *

ეს ამბავი მოხდა დილა ადრიან ზემო სართულში. ქვემო სართულში კი ოსტროვსკის ოჯახში საღამოს 6 საათზე აი რა ხდებოდა:

ის-ის იყო სადილი გაათავეს. ახალგაზდა დედამ, თავად ოსტროვსკის მეუღლემ, იხმო ფარეში, რომელმაც ყველას მიუტანა ტკბილი, ფორთოხლის ჟელე, და უბრძანა მოეტანა სუფთა საინი. მერე მიუბრუნდა თავის ბავშვებს.

ორი ჭყავდა. უფროსი ვაჟიშვილი ვოკა 6 წლისა იყო, ქალიშვილი ტანია კი ოთხ-ნახევრისა. ორივე ძალიან ლამაზი ბავშვები იყვნენ. ვოკა ჩაფიქრებული, სადი, კარგი ყმაწვილი იყო, მშვენივრად იღიმებოდა და თანაც აჩენდა შორი-შორს ჩასხმულ კბილებს, რომელნიც გამოსაცვლელად იყვნენ გამზადებულნი. ტანია შავ-თვალება იყო, ჩქარი და მარჯვე, დიდი მოლაპარაკე, მოკასკასე, ყოველთვის მხიარული და ყველასთან ალერსიანი.

— ბავშვებო, ვინ მიუტანს გადიას ტკბილს?

— მე,—წარმოსთქვა ვოკამ.

— მე, მე, მე, მე, მე!—წამოიყვირა ტანიამ და გადმოხტა სკამიდან.

— არა, ვინც პირველმა სთქვა. ვოკა, წაიღე,—სთქვა მამამ, რომელიც ყოველთვის ანებივრებდა ტანიას; ახლა კი გახარებული იყო, რომ შემთხვევა მიეცა გამოეჩინა მიუდგომლობა.—შენ, პაწია ტანიავ, ძმას დაუთმე—მიუბრუნდა ის თავის საყვარელ შვილს.

— მე ყოველთვის მიხარია დავუთმო ვოკას. ვოკა, აიღე და წადი. ვოკას მე არაფერს არ დავუუჭერ.

ჩვეულებრივად ბავშვები მადლობას უხდიდნენ შშობლებს სადილის შემდეგ. ყველანი ყავას სვამდენ და ელოდნენ ვოკას. ის კი კარგა ხანს არა სჩანდა.

— ტანია, აბა წადი საყმაწვილო ოთახში, გაიგე, რატომ არ მოდის ვოკა.

ტანია ჩამოხტა სკამიდან, წამოჭკრა ხელი კოვზს, გადმოაგდო, აიღო და გადასდო მაგიდის ბოლოს. კოვზი ხელ-ახლა გადმოვარდა. ტანიამ ისევ აიღო და სიცილ-ხარხარით, ყელებიან წინდებ ჩაცმული მსუქანი პაწია ფეხები აააჩქარა და გაეშურა კორიდორისკენ, მერე კი საყმაწვილო ოთახისაკენ, რომლის გვერდით იყო გადიას ოთახიც. იმან გაირბინა საყმაწვილო ოთახი. უცებ ზურგს უკან მოესმა გულამოჯდომით ტირილი. მოიხედა. ვოკა იდგა თავის საწოლთან, უყურებდა სათამაშო ცხენს, ხელში ეჭირა საინი და მწარედ სტიროდა. საინზე აღარაფერი იყო,

— ვოკა, რა დაგემართა? ვოკა, ტკბილი სად არის?

— მე-მ-ე-მე, **უცაბედად** შევჭამე გზაში. მე არ წავალ... არსად არ წავალ, მე, ტანიავ... მე, გეფიცები, **უცაბედად**... მე სულ შევჭამე... ჯერ ცოტა, მერე კი მთლად.

— მაშ, რა ვქნათ?

— მე **უცაბედად**.

ტანია ჩაფიქრდა.

ვოკა საშინლათ გულამოსკვნით ტიროდა. უცებ ტანიას სახე გაუბრწყინდა.

— ვოკა, აი რა. შენ ნუ სტირი. წადი გადიასთან და უთხარი, რომ შენ **უცაბედად** შესჭამე, ბოდიში მოიხადე, ხვალ კი ჩვენსას მივსცემთ. ის კეთილია,

ვოკამ ტირილი შესწყვიტა. ცრემლების მოწმენდა დაიწყო ხელის გულით ჯ ხელის მეორე მხრითა.

— მერე, როგორ ვეტყვი?—წაილულღუღა ბავშვმა მთრთოლვარე ხმით.

— კარგი, ერთად წავიდეთ.

ორივენი წავიდნენ. მერე დაბრუნდენ ბედნიერნი და მხიარულნი.

ბედნიერნი და მხიარულნი იყვნენ გადიაც და მშობლებიც, როდესაც გადიამ სიცილით და გულმტკივნეულობით უამბო იმათ მთელი ეს ამბავი.

ბრილლი.

სოფ. მუშჩერსკოე.

ოპოლი...

საგონებელი ნიმუში.

I.

ობოლი...

ობოლია, ვითა სუოფი აწმეო ტრფობისა,
ღამის წუდიადში წარმოშობილი...

იგი ტფარა თვით ბუნებისა, ვით ცხარე
ტრემლი მგლოვიარისა...

იგი---ობოლი---უნიადაგო ზე მოსხმეტილი
და მინდვრის უკიდეგ ობოლაზედ *)
გულს დასწვეთია...

იგი, დრუბლისა წვეთი, წმანდა ანკარა, ვითა
სინათლე, გამომჭვრეტია; თრთის და
ბიურვებს, ვითა ობოლი მარგალიტია...

ობოლი ობოლს დამსარეია, მის გულს ჩაითხრობილს დაჭკონია... და ელამუნება: მას ჩაეწეროს, ვითა ობოლი, მას დაედიოს...

ხოლო უფალი, მინდვრის ობოლა ღმის ნისლითა მოდუშულია, ვით ტეფა ტვირთითა, მოდუნულია... და გატეტეთ, თავდავიწეებით, იგი მოელის კათენებსა, მზის სხივთა ბეურვეთ: შვებასა, კეთრებასა...

მშობელს ობოლი დაჭვიწეებოდა, ვით მოანს შვილი დატეტეებული...

ობოლი?..

ობოლი, ობლად რჩებოდა, უეურნებელი
მაღლა ჭქრებოდა...

II

ობოლი...

ობოლი! იგივეა ქვეუნად მწარადი...

ის სუოფთა თვით შშობელისა, წარმოშობილი თავის ქვეუნისა და აღზრდილია თვითვე
ვრისა...

ხოლო, იგი, შვილი მწარადი მშობელთა
შორის მარტოდ-მარტოა, ვით ობოლია...

იგი ეეგრძნობს, ხოლო მას არავინ
სცნობს...

იგი მოძმისთვის ტკბილთ ალეეა, მათ
მტლდად ედება.., ხოლო მას კი, თვით თა-
ვისანიც, არ ეკარება...

იგი, ობოლი ობლად იდეა და მის მშობელზედ, მხოლოდ ის რჩება, რაც მის ნაგეელთან დადღეულია, დაჩნეულია... ხოლო სული კი ჭვერში ჭქრება შეუმჩნეველი, ვით ღრუბლის წვეთი აქ დაწვეთილი, შემდეგ მზის სხივთა ატტეებული...

ობოლი...

ობოლია, ვით ბუნების ცვარი ქვეუნად მწარადი...

ს. გლახაშვილი.

*) ერთგვარი მცენარეა, ობოლას უწოდებენ ზემო ქართლში.

ლიტერატურული კონკურსი.

„თემის“ რედაქცია ჰმართავს ამ წელს თიბათვის პირველ რიცხვებში სალიტერატურო კონკურსს. საუკეთესო ლექსები დაჯილდოვებული იქნება პრემიებით. პრემია ორნაირი იქნება: **ფულისა და ქებითი ფურცელი.**

ფულის პრემია სამი ხარისხისა იქნება:

პირველი	50 მ.
მეორე	30 მ.
მესამე	20 მ.

ქებითი ფურცელი: პირველი, მეორე და მესამე ხარისხისა.

კონკურსის წესი:

1. **კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას მხოლოდ ის პოეტნი, რომელნიც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ 1900 წლის შემდეგ.**

2. **ახალი, ჯერ არსად არ დასტამბული ლექსი უნდა გამოიგზავნოს „თემის“ სახელობაზე დაბეჭდილ კონვერტში, რომელსაც ზევიდან ეწერება რამე დევიზი. იგივე დევიზი უნდა იყოს წარწერილი მეორე დაბეჭდილ კონვერტზე, რომელშიაც იქნება დასახელებული თვით ავტორი საკონკურსოდ გამოგზავნილი ლექსისა.**

3. **ლექსი არ უნდა იყვეს 50 სტრიქონზე მეტი.**

4. **უკანასკნელი ვადა ლექსის წარდგენისა არის 1 თიბათვე** (ივნისი). **ამ დღეს რედაქციამ უნდა მიიღოს ლექსი. მერე აღარ მიიღება.**

5. **დაჯილდოვებული ლექსების და ავტორების სურათები დაისტამბება გაზეთ „თემში“.**

6. **თვით დაჯილდოვება საჯაროდ მოხდება ქართულ თეატრში გარეშე ხალხის თანადასწრებით. კონკურსისათვის გამოსადეგ ლექსებს საჯაროდ წაიკითხვენ. დაჯილდოვების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.**

7. **ივნისის წვრილი კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.**

ივნისის ფეადგენენ შემდეგი პირნი:

აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ივანე (კოტა) **აბაშიძე, იაკობ ნიკოლაძე** (შექანდაკე), **ვლადიმერ ბაქრაძე** (კრიტიკოსი), **გრიგოლ რცხილაძე** (ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის სახოგადოების თავმჯდომარე), **ალექსანდრე ყანჩელი** (სალიტერატურო წრის „იკარიოსის“ თავმჯდომარე), **ნიკოლოზ ქართველიშვილი** (ქართულ დრამატიულ სახოგადოების თავმჯდომარე). აგრეთვე **წარმოადგენლები:**

წერა-კითხვის სახოგადოებისა, „სახალხო გაზეთისა“, „ახალი საქმისა“, „ოლხიდისა“, „ეშმაკის მახისა“, „სალამურისა“, ცხოვრება და ხელოვნებისა“, „განათლებისა“, და „თემისა“.

ამ სალიტერატურო კონკურსის შემდეგ დანიშნება კიდევ სუკეთესო მოთხრობის და პიესის დასაჯილდოებლად კონკურსები.

საერთოდ კი გლეხებთან ძალიან კარგი განწყობილება ჰქონდა. ისინიც ღრმა პატივისცემით ეპყრობოდენ „დიდო ბატონო“, ასე იხსენიებდნენ მოკრძალებით. იმათ ერთმანეთში კეთილ-განწყობილებას ის გარემოება კიდევ უფრო ხელს უწყობდა, რომ ჰომეოპატიით სწამლობდა. გარშემო სოფლებიდანაც კი დიდის ნდობით მოდიოდენ მასთან საწამლებლად. ყველას გვარი ჩაწერილი ჰქონდა, ვისაც სწამლობდა. დაწერილებით იყო აღნიშნული, რა სენით იყო ავათ, როდის დაუწყო წამლობა და რა წამლით.

მახსოვს ერთხელ რა აღტაცებული იყო მისგან მორჩენილი ერთი დაჭრილ გლეხის თამბაზე. ცულით დაჭრილისათვის ჰომეოპატიურ წამლით ღრმად შეჭრილი ფეხი შეუხვია. და აი იმის მორჩენას მეტის-მეტი სიამოვნებით მიამბობდა.

— ორი დღე იყო გასული, რაც ჭრილობა შევუხვიე. აივანზე დავდიოდი, გავიხედე და თვალი მოვკარ, რომ ჯობზე დაბჯენილი ვიღაცა კაცი კოშკის აღმართზე მოიკაკვება. ეჭვი შემეპარა ჩემი პაციენტი ხომ არ არის მეთქი და მაშინვე დურბინდით გავხედე. წარმოიდგინე ჩემი გაოცება და ამასთან წყენაც, როდესაც სწორეთ ის ჩემი პაციენტი დავინახე! მაშინვე კაცი ვაფრინე და სასტიკად გავუწყერი, რომ ასე უდროოთ ჭრილობა მოურჩენელი გარეთ გამოსულიყო...

პატარა ხანს უკან ის კაცი ჩემს წინ იდგა და სრულებით შეხორცებულ ჭრილობას ჩემის თვალით მაშინჯვებდა.

ოჯახის შესახებ, ოჯახის წევრთა ერთმანეთში დამოკიდებულობაზე რა აზრისა იყო, ამას ჩვენი შინაურული ცხოვრების ერთი ეპიზოდი იტყვის. ეპიზოდი, რომელიც ამასთან ერთად სრულებით ახასიათებს მისგან თავისი პრინციპების მტკიცედ დაცვას, თუნდ რომ ასეთი დაცვა მისი სათუთი გრძნობების დიდათ შემაწუხებელიც ყოფილიყო.

ოპოლი...

საგონებელი ნიმუში.

I.

ობოლი...

ობოლია, ვითა სუოფი აწმეო ტრფობისა,
ღამის წუდიადში წარმოშობილი...

იგი ტფარა თვით ბუნებისა, ვით ცხარე
ტრემლი მგლოვიარისა...

იგი---ობოლი---უნიადაგო ზე მოსხმეტილი
და მინდვრის უკიდეგ ობოლაზედ *)
გულს დასწვეთია...

იგი, დრუბლისა წვეთი, წმანდა ანკარა, ვითა
სინათლე, გამომჭვრეტია; თრთის და
ბიურვებს, ვითა ობოლი მარგალიტია...

ობოლი ობოლს დამსარეია, მის გულს ჩაითხრობილს დაჭკონია... და ელამუნება: მას ჩაეწეროს, ვითა ობოლი, მას დაედიოს...

ხოლო უფალი, მინდვრის ობოლა ღმის ნისლითა მოდუშულია, ვით ტეფა ტვირთითა, მოდუნულია... და გატეტეთ, თავდავიწეებით, იგი მოელის კათენებსა, მზის სხივთა ბეურვეთ: შვებასა, კეთრებასა...

მშობელს ობოლი დაჭვიწეებოდა, ვით მოანს შვილი დატეტეებული...

ობოლი?..

ობოლი, ობლად რჩებოდა, უეურნებელი
მაღლა ჭქრებოდა...

II

ობოლი...

ობოლი! იგივეა ქვეუნად მწარადი...

ის სუოფთა თვით შშობელისა, წარმოშობილი თავის ქვეუნისა და აღზრდილია თვითვე
ვრისა...

ხოლო, იგი, შვილი მწარადი მშობელთა
შორის მარტოდ-მარტოა, ვით ობოლია...

იგი ეეგრძნობს, ხოლო მას არავინ
სცნობს...

იგი მოძმისთვის ტკბილთ ალეეა, მათ
მტლდად ედება.., ხოლო მას კი, თვით თა-
ვისანიც, არ ეკარება...

იგი, ობოლი ობლად იდეა და მის მშობელზედ, მხოლოდ ის რჩება, რაც მის ნაგეელთან დადღეულია, დაჩნეულია... ხოლო სული კი ჭვერში ჭქრება შეუმჩნეველი, ვით ღრუბლის წვეთი აქ დაწვეთილი, შემდეგ მზის სხივთა ატტეებული...

ობოლი...

ობოლია, ვით ბუნების ცვარი ქვეუნად მწარადი...

ს. გლახაშვილი.

*) ერთგვარი მცენარეა, ობოლას უწოდებენ ზემო ქართლში.

დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში.

მალე 25 წელიწადი შესრულდება, რაც დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა (1887 წ. 24 ოქტომბერს) და მისი პიროვნების შესახებ, გარდა ქრონიკისებური ბიოგრაფიისა, არაფერი თვალსაჩინო არა გამოქვეყნებულა რა.

ვგონებ, რომ თუ მისი თანამედროვენი ამით დაკმაყოფილდნენ, შთამომაველობა მაინც უფრო მეტს მოითხოვს ისეთი დიდებული მამულიშვილის პიროვნების გასაცნობათ, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი. ამიტომ მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს მისი წმინდა ხსოვნის წინაშე აღვნიშნო ყოველი წვრილმანი რამეც კი იმის ცხოვრება-შეხედულობისა, იმ ხნის განმავლობაში, რა ხანიც მე იმის ხელში გავატარე.

არ იქნება, რომ ოდესმე იმისი ბიოგრაფიის ვრცლად დაწერას არავინ არ შეუდგეს და ეს ჩემი მცირე გახსენება რამდენადმე მაინც გააცნობს იმ დიდ ბუნებოვან ადამიანს. იქნებ სხვაც გამოჩნდეს მისი შინაურულად მცოდნე ადამიანი, აღნიშნოს თვისი შთაბეჭდილებანი მის შესახებ და ამგვარად ყველასაგან მოწოდებული ცნობების აკინძვით, იმასთან ერთად, რაც უკვე დაწერილა, ერთიანი, ვრცელი, ყოველმხრივ მისი დამახასიათებელი ბიოგრაფია დაიწეროს.

—

დიმიტრი ყიფიანი!.. როგორი ფაქიზი გრძნობანი იღვიძებენ გულში ამ სახელის ხსენებაზე! ჩვიდმეტი წლისაც არ ვიყავი ჯერ, როდესაც **იმან** პირველად მამობრივი სიყვარულით გულზე მომიკრა.

მხოლოდ სამი წელიწადი მხვდა ბედნიერ წილად, რომ იმისი მძლავრი ჭკუის გავლენისა და თბილი კალთის ქვეშ ვყოფილიყავ! იმ სამ წელიწადშიც ერთი წელიწადი ჩემზე მოშორებით სტავროპოლში გაატარა, საიდანაც წერილებით ღა გვეპატრიოტული გრძნობა სწავლის დროსვე ღრმად მქონდა ქართული ენის მასწავლებლებისაგან ჩაგონებულ-ჩანერგული და უპირველესი საგანი ჩემი კითხვებისა იყო ხოლმე ჩვენი პოლიტიკური დამოკიდებულება რუსეთთან.

ჩემს შეკითხვაზე, თუ ვის ხელში გვერჩივნა ყოფნა, მიპასუხა იმან ერთხელ;

— თუ აუცილებელი იყო ჩვენი ყოფნა ვისიმე ხელში, რა თქმა უნდა, რომ რუსების ხელში გვერჩივნა. რუსის ხალხი ხასიათით ბევრში გვგავს ჩვენ და სარწმუნოებითაც ხომ ერთნი ვართ.

იქნება ამ ორი საბუთის გარდა სხვაც ბევრი ჰქონდა სათქმელი, ან იქნება კიდეც მითხრა, მაგრამ მე ვერ გავიგე მაშინ მათი მნიშვნელობა და მივივიწყე, და რაც კი ნამდვილად არ მახსოვს იმისი ნათქვამიდან, ხომ ვერ ვიტყვი.

— აი შენ, *) ასეთი დიდი კაცი რა ერთგულათ ემსახურებოდი რუსის მთავრობას ჩვენ ენაზე კი სწავლას გვიშლიან!.. ეს როგორღა მოგწონს?—ვეკითხებოდი.

ამაზე მიპასუხა:

— ერთგულად იმიტომ ვემსახურე, რომ რუსეთი ჩვენი ქვეყანაა, და თუ მსახურობს კაცი, ერთგულად უნდა იმსახუროს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი წმინდათა-წმინდის შელახვა, ვინც უნდა იყოს ის, ვისმე ვაპატიოთ და ხმა არ ამოვიღოთ!

სწორედ იმ ხანებში იყო სკოლებში ქართული ენის შესახებ გამწვავებული საკითხი. მართლა არ აპატივა, ხმა ამოიღო და აკი თავიც შესწირა...

ჩემი ცნობის-მოყვარეობის მეორე საგანი იყო სარწმუნოება.

სარწმუნოებას ის დიდ მნიშვნელობას აძლევდა და მეტადრე კი უფრო ჩვენთვის. ჩვენი ენის უპირველეს დამცველად, საუბრებოდა, გვამხნევებდა, მაშინ, როდესაც თითონ თურმე საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდიდა თავის ოჯახს, თავის სამშობლოს დაშორებული უსამართლოდ, ულვთოდ, განუკითხავად!..

ეს მისი სულიერი ტანჯვა მხოლოდ მისი ვერაგული სიკვდილის შემდეგ, იმისი დღიურიდან გავიგეთ... თან არავინ წაგვიყვანა,—მალე დავბრუნდები, მე ისეთი დანაშაული არა მიმიძღვის რა, რომ დიდ ხანს გამაჩერონო...

არც სტავროპოლში ყოფნის დროს მიიღო ჩვენი ვედრება—მოეცა ნება ჩვენთაგანი ვინმე წასულიყო მასთან, მარტოობა გაეზიარებინა.—„თქვენთ ესცოცხლობ, თქვენთან ყოფნა, თქვენი ნახვა მე სიცოცხლეს შემმატებდა, მაგრამ აქ არა, არა, ამ უცხო მხარეს არ მინდა თქვენი ხილვა, მე თქვენს ნახვას ისევ ჩემს ქვეშეთში უნდა მოვესწრო, თავისუფლადო“ ერთავად სულ ამას გვიპასუხებდა.

მაგრამ ეს მას აღარ ეღირსა. აღარ ვვეღირსა არც ჩვენ იმისი ხილვა. კერძოდ მე დავკარგე მოსიყვარულე მამა, ვინაიდან თავის საკუთარ შვილებში არ მარჩევდა, დავკარგე ჩემი ბრძენი მოძღვარი და მასწავლებელი! დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემში როგორც თავის ჭკუით, ისე ხასიათით, მიმართულებით, ერთხელვე დასახულის პრინციპებით, რომლისთვისაც იმას, რამდენადაც ვიცი, არასოდეს არ უღალატნია.

სულ ახალგაზრდა, ცხოვრებაში შეუსვლელი, სკოლის სკამიდან ის ის იყო გადმოსული ვიყავ, როდესაც იმისი რძალი გავხდი. პირველ დროიდანვე შვილივით შემიყვარა. ცდილობდა სწავლისა და განვითარების მხრივ ჩემთვის ხელი შეეწყო. მაგრამ ამას ის მე არ მაჩნევინებდა, მასწავლებლის კილოთი არ მესაუბრებოდა, ყველაფერს ისე, თითქო შემთხვევით, სიტყვა რომ მოიტანდა, თავის აზრს და შეხედულებას მაშინ მეტყოდა.

*) ნება არ მომცა, რომ თქვენობით მელაპარაკნა იმასთან.

ეროვნების შემარჩენელად ეკლესია მიაჩნდა. თითქმის არც ერთს დღესაწაულს, არც ერთს კვირა-უქმეს არ გაუშვებდა, რომ საყდარში არ წასულიყო და ამასთან, დიდ-უქმე დღეს უთუოდ მუნდირით და ჯვარ-მედლებით მორთულ-გამოწყობილი. ამ უკანასკნელ გარემოებას იმითი ხსნიდა ხოლმე, რომ რაც მეტი სადღესასწაულო ელფერი ედება საყდარში ყოფნას, მით უფრო მეტი ხალისი ექნება ხალხს სიარულისაო.

ატყობდა ხალხს, რომ გულ-გრილად ეკაკეოდა ეკლესიას და თავისის მაგალითით მას ახალისებდა.

ვფიქრობ, რომ ამასთან ის მორწმუნეც იყო. ერთხელ შევეკითხე:—ღმერთი მართლა არის მეთქი?

ამ დროს ჩვენ აივანზე ვიდექით ზაფხულის მშვენიერ საღამო ჟამს და გადავსცქეროდით ჩვენს თვალ-წინ ამართულ დაბურულს მთებს, მთების კალთებ ქვეშ მდორეთ მიდენილ მტკვარს და მის კიდეებზე აბიბინებულ ყანა-მინდორს...

იმან ჩემ კითხვაზე ლმობიერათ გაიღიმა, უბიდან საათი ამოიღო და გამომიშვირა:

— აბა დახედე ამ პატარა საგანს, თავის-თავად რომ დადის. აი ამასაც კი ადამიანის გამკეთებელი ხელი დასჭირდა და როგორ გინდა რომ ამ დიდებულ, ადამიანის გონება-მიუწდომელ სამყაროს თავისი დამაარსებელი არა ჰყავდეს!

ჩემთვის იმ დროს ეს მისი სიტყვები სრულებით საკმარისი იყო, რომ ღმერთის არსებობაში მტკიცედ დავრწმუნებულიყავ.

ჩემდა სამწუხაროთ, ხალხის კლასობრივი დაყოფისა და მათი ერთმანეთთან განწყობილებისა მაშინ არაფერი არა მესმოდა რა, რომ ამის შესახებ იმისი აზრი მისგანვე გამეგო. მაშინ დაახლოებით მაინც მეცოდინებოდა, თუ როგორის თვალით შეხედავდა ის წარსული წლების მოძრაობას... მახსოვს მხოლოდ ერთი აზრი ერთგვარ დამოკიდებულებაზე გლეხებსა და თავად-აზნაურთ შორის, სახელდობრ ძღვენის მოტანაზე. ჩვეულებრივ ყოველ შობასა და აღდგომის მეორე დღეს ჩვენთანაც მოჰქონდათ გლეხებს ძღვენი. ის თვითეულ მეძღვენეს თითონ მიიღებდა ხოლმე, გადაჰკოცნიდა და ძღვენს ჩამოართმევდა.

ერთხელ ამაზედაც შევეკითხე:

— ბატონ-ყმობა ხომ აღარ არის და ეს ძღვენი რაღად მოაქვთ, რატომ არ გადააგდებთ მეთქი ამ ჩვეულებას?

ამაზე იმან თავისებურად გადმისვა შუბლზე ხელი და მომიგო:

— ძალას არავინ ატანს, თავისი ნებ

ჩვენი ფოლკლორი.

ფოლკლორი—ინგლისურად ნიშნავს ყველა ამ სალიტერატურო მასალას, რომელიც ხალხის ფანტაზიას და შემოქმედებას შეუქმნია. ფოლკლორს შეადგენენ ზღაპრები, ანდაზები, სიმღერები, ლექსები და სხვ.

ევროპელებს განსთვლებულ ქვეყნებში დიდ ეჯიდებას აქცევენ ხალხის შემოქმედებას, რასაც მისში ყველასთვის ცხადია მთელი ერის სულიერი ცხოვრება არის ჩასახული. თუ რომელიმე ხალხის ფოლკლორი შანაარსიანია, ბრალმხრივია, მეტნიერებას შეუძლია მისი ბევრი სულიერი სიდუმლო გამოაშკარავოს.

ამიტომ, ჩვენის აზრით, ჩვენი ინტელიგენციას დიდ ცოდვას სჩადის, რომ არ აქცევს ფოლკლორებს ხალხური ფანტაზიის ნაწარმოებს. ბევრი ზღაპარი, ლექსი, ბოემა ისეთი მდიდარი შემოქმედებითი ძალის ნაყოფია, რომ ევროპეიერებაში მოჰყავს მკვლევარნი და მეცნიერნი.

ჩვენ ისეთი ლექსები, რომ არავინ დაიჯერებს, რომ მისი ავტორი ცნობილი ვინმე ბიროსნება არ იყოს. ამ ერთი, თუ ორი წლის წინად ბ. ია კარკარეთელმა ს. ...ოსანში ჩასწერა საუკეთესო ხალხური ლექსი, რომელიც მაშინვე დასტამა ერთ-ერთ ...ულ გამოცემაში.

ამ ლექსმა დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა. ...ოს არ იჯერებდა, რომ ეს ლექსი რომელიმე ბირის თხზულება არ ყოფილიყო—ისე შამბალავი იყო თავის განსაკუთრებული შედგენებით და სამმოდებით. რამდენიც უნდა ეცქოთ ის ლექსი, ჩვენი უძღერი ენით ...ინც ვერ წარგიდგენთ მკითხველს მისს სამ...ერებელ, ამიტომ სრულად მოვიყვანთ.

ია ის ლექსი:

ხომალდში ჩავჯეგ, ზღვას გაველ.
ფრანგის ქვეყნები ენახეო;
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.

ანთებულ სანთელს გამსგავსე,
დილით ცისკარზე ენახეო;
ბელში გეჭირა ყმაწვილი,
ფრსაგ ვერ დაგინახეო.

შენს ლოყას ვარდი ჰყვაოდა,
გშვენოდა ღია-ფერია,
ღაწვს მოციმციმე ხალვიათ
ნამი ცით მონაბერია.

შურით დაგფოფენდა ნიავი,
გირხვევდა ფალაღ კვერცხს;
წარბი-წამწამი ყორნისა
ჰბურავდა გიშრის თვალებსა.

თვალსა, რა თვალსა, ცის მნათსა,
წყვდიადში მოელვარესა,
მოკლენებულსა ამ ქვეყნად
ნუგეშად დამაშვრალებსა.

ტუს დაჰკდომოდა ღიმილი,
ალის ფრად მოღადღადესა,
კბილ-მარგალიტი აფრქვევდა
შუქურს,—მიდამოს და ველსა.

რა თამარ? რაა ქეთევან?
ვით შეგადარო ეთერსა!
ისარს დაუსომ გულს მნახველს,
ხელად დარბოდეს ტყე-ველსა.

ფრანგის ქვეყნები დავაგდე,
მივძარ-მოვძარი ზღვებია,
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს
მაგრეთსა შენ რომ გხლებია.

ამ ლექსმა მართალდაც, დიდი აურზაური გამოიწვიაჩვენი საზოგადოების ერთ-ნაწილში. ეეკვნენ იმისთანები, რომ ამტკიცებდნენ—ეს ლექსი ბოეტის ნაწარმოებია და არა ხალხისაო. ზოგი ჩვენს დიდებულ მგოსანს აკაკი სოფლიდან ავტორად. მაგრამ გამოჩნდენ ისეთი ხნიერი ბირები, რომელთაც დაგვიდასტურეს, რომ ეს ლექსი ძველადაც გაუგონიათ სოფლად.

ეს ლექსი ბირდაბირ ამტკიცებს, თუ რამდენად შესისხლ-ხორცებული და შესწავლილი აქვს ჩვენს საუკარელ ბოეტს აკაკის ხალხური ბოეზიის სული და გარეკანი ფორმა. ამიტომაც ჩვენ ხალხს ჩვენი ერის ნამდვილ დეიდ შვილად მიჰჩნიეთ.

აკაკი კარგა ხანია დასტრფის ჩვენს ხალხურ თქმულებათა და ნაწარმოებთ. მან თვითონ დაუარსა თავის „კრებული“ იმ აზრით, რომ ებეჭდა იქ თავის თხზულებასთან ერთად ხალხური ლექსები და სხვა ამისთანები.

საშეუსაროდ, სხვა და სხვა კარემოებამ ხელი შეუშალა, „კრებული“ მალე მოესპო, თორემ ამ საქმეს სამაგალითოდ მოაწყობდა.

კარგი იქნება, რომ ჩვენმა მგოსანმა ხელახლა მოჰკიდოს ხელი და თავის მეთაურობით შეადგინოს ჯგუფი, შეამშეგებინოს ბეგმა და ისე შეკრებინოს ხალხური ნაწარმოები. აი ახლა დგება ზაფხული. ბევრი ინტელიგენტი წავა სოფლად. ესურველია ჩასწერონ ძველი თქმულებანი, ზღაპრები და სხვ. თუდო რაზიკაშვილმა ძმებითურთ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ლიტერატურას ზღაპრების შეკრებით და გამოცემით. საჭიროა, რომ სხვანიც შეეკრიბოს. ხალხური სალიტერატურო მასალას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს ერს.

ამიტომ ვფიქრობთ, ზაფხულის წინად ჩვენი აკაკი აკისრებს ბატრა კრება მოახდინოს მეოდნე ბირებისა ამ საგნის განსახილველად და დაწვრილებით გამოსარკვევად.

უნდა დავაჩქაროთ შეკრება, თორემ ძველი ხალხის რიტხვი შესამნეველად მცირდება. ახლები კი სრულებით არავითარ სურვილს არ აცხადებენ ძველი კარდმონატების შესწავლისა და გაზეპირებისა. ესევე ითქმის ხალხურ სიმღერების შესახებ. ყველაფერი ეს თანდათან ჭქრება და იკარგება. საჭიროა წარმოვიდგინოთ საკითხი, თუ რა ზარალია ამისთანა საუნჯის დაკარგვა ჩვენი ერის სულიერ კულტურისათვის.

დ.

ნაღუღი.

ისე ჩვენი წარსულის გათვალისწინება არ შეგვიძლია, რომ წინ არ წამოგვიდგეს მაშინდელი თავად-აზნაურობა. ის ორ გუნდად გაიყოფოდა: დიდებულ ერისთავებად, რომელთაც თავისი კუჭის მეტი არა ახსოვდათ-რა და დანარჩენი ქართველობა და მთლად საქართველოც მათ სარჩო-საბადებლად ეგონათ გაჩენილი!.. მეორე გუნდს შეადგენდა დაბალი, ანუ სოფლის თავად-აზნაურობა, რომელსაც სული ახსოვდა და ერონენებაც (გლეხობასთან ერთად) სარწმუნოება ეგონა. აი ამან გამოიწვია, ქვეყნის დამღუპველი „გვართა-ბრძოლა“. დღეს კი სულ სხვა თვალით უყურებენ ეროვნებას: შეიძლება მკვიდრი მაჰმადის სარწმუნოებისა იყოს, ან რომის თაყვანის მცემელი, ან გრიგორიანელი, ან სხვა რომელიმე რჯულის, მაგრამ მაინც ქართველი იყოს. სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია, და ერთნაირი თავ-გადასავალი და არა სარწმუნოება ჰქმნის ერს!.. ეს დღეს საანბანო ჭეშმარიტებაა და ვისაც ეს არა სწამს, ან გაუგებრობით მოსდის, ან კრიმანჭულ-განზრახვით და მაშასადამე ორივე შემთხვევაში აღარ ღირს მასთან ამაზე საუბარი და მეც გადავალ პირდაპირ სხვა საუბარზე!..

უცნაურია შემოქმედებითი ძალი: ხილულსაცა და უხილავსაც, ესე იგი განყენებულ საგანსაც, ერთსა და იმავე კანონს უქვემდებარებს. მაგალითად ერთის შეხედვით სრულიად არა არის-რა საერთო უბრალო ხისა და ეროვნების შუა, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, ორივეში მოვნახავთ ერთნაირობას: ხე არის გარეგნობით შემდგარი სამის ნაწილისაგან თავი და თავი ძირია, ანუ ფესვი, რომელიც ღრმად არის ქვესკნელში ჩამჯდარი, უჩინრად; იწოვს დედა-მიწისაგან საზრდოს; აძლევს იმაზე ამოსულ ღეროს და ისიც გადასცემს თავისს თავზე ამონაყარ შტოებს. სინათლე უდგიათ, მზე აყრის სხივებს, მაშინ როდესაც ფესვები კი ბნელ მიწაში არიან და ყვავილ-ნაყოფიც შტოებზე ებმიან... მაგრამ აქ თავი და თავი მაინც ფესვებია. ისინი, რომ ცუდ მდგომარეობაში იყონ და გახმენ, აღარც ღეროა და აღარც შტოები აღარ იქნებიან. ისინი მჭიდროდ არიან ერთი მეორეზე გადაბმული და უერთმანეთოდ დაჰკარგვენ თვითარსებობას!

ფესვებმა რომ აიჩემოს: მარტო ჩვენა ვართ, რაცა ვართ და გადასხეპეთ ღერო-შტოები, რადგანაც ჩვენი შრომა არ მიუძღვისთ და ჩვენ ვართ მაგათი მრჩენელნი, მაშინ ხომ ხე ვეღარ გაიხარებს და გახმება ძირიანად? ეს კი არის, რომ თუ რომელიმე შტო გაფუჭებულია და წამხდარი, რომ მან სხვებიც არ წაახდინოს, წინდახედული მებაღე მოსჭრის იმ შტოს და მის სამაგიეროდ ახალი ამოიყრის იმავ ფესვების მეოხებით და შეივსება დანაკლისი. ეს ასეც უნდა იქმნეს!.. მაგრამ სრულიად ძირში გადაჭრა და ღეროშტოების უარ-ყოფა არ შეიძლება. ესევე ითქმის ჯერ-ჯერობით თვითოეულ ერზედაც: ის შესდგება ზედასა და ქვედა პირისაგან ანუ მაღალისა და მდაბალი წოდებისაგან, მაგრამ თანასწორისაგან კი, რომ ერთი მეორეს არ ემედიდურებოდეს. ხალხის წინამძღოლი, მეთაური, ანუ თავადი, რასაკვირველია, მემკვიდრეობით არ უნდა იყოს!.. დრო და ვითარების საკადრისად ვინც კი იქმნება მომზადებული იმდენად, რომ შეეძლოს გადასვლა ზედა პირში და იმეთაუროს, ეს სულ ერთია, საიდანაც უნდა მოდიოდეს, დაბლიდან თუ მაღლიდან... ზედა პირი ესე იგი, მთელი ხალხის ხელმძღვანელები, საჭიროა არიან და იქნებიან კიდევაც ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით. და მიტომაც „უფლებათა თანასწორობის“ სრულიად სულითა და

ერთი წლის ჯვარ-დაწერილი ვიყავი. ...ილევი ხანი იყო, ძირის სართულიდან მაღლა ავედი. ამ დროს იმას ყოველთვის აივანზე ეძინა. გამოღვიძებულს ...ამსახურე საკუთარი ბაღის ხილს და ...ნაურ ღვინოს მიართმევდა და ძალიან ...ეყარდა, როდესაც იმ დროს ჩვენც გარს შემოვუსხდებოდით და შინაურ საქმეებზე ...ელაიფებოდით.

...ალა რომ ავედი, სახლის მეორე აივანზე ...ენებული ჩემი დედამთილი დაბერებული და მაშინვე გაჯავრების კილოთი ...ბრა:

— შენ რომ წეღან წახვედი სადღაც ...ენ გოგომ წამოსასხმი მოგიტანა, ...ეწარდ იმ დროს დამჭირდა; ვუძახეთ, მაგრამ თურმე ტყუილად ვუძახდი, ...ენ ის შენთან წამოსულიყო. რომ ეს ...ეფორდეს, მე უნდა ყოველთვის ...ეფიდე, რა დროს სად იქნება გოგო!

...ბოლოებული და დიდათ პატიოსანი ...ადამანი ჩემი დედამთილი, თავ-დადებული ...ელი ცნობილი იყო როგორც ...ეფიზერი ხასიათის ადამიანი. ამ მხრივ ...ენ ჯერ ისე კარგად ვერ ვიცნობდი, ამიტომ სიმინლოთ გამაკვირვა ასეთმა მოთხოვნილებამ და ვეცადე საქმე გამომერკვია.

— ...ერი, მაგრამ ათიოდე წამის საქმეა, ...ოდგომათ რომ ყოველთვის აქ ...ოვიდეს შესატყობინებლად, აქა და აქ ...ეფენთ, საქმე როდისღა გააკეთოს? და ...ამისთანის მოტანას ხომ ათი წამიც არ ...ოუნდებოდა?

— ...ენ ჩემი საქმე არ არის, მე ...ენდა ...ოდე სად იქნება!—მიპასუხა გადაჭრით ...ედამთილმა.

— ...ენ სულ აქ იყოს თქვენთან. მაგ...ენ სამსახური მოუხერხებელია.—ვუ...ეე ეს და აივნიდან სასტუმროში შე...ენ, რომ იქიდან დერეფანზე გავლით ...ენ სართულში ჩავსულიყავ.

...ოგორც კი შევსდგი ფეხი ოთახში, იმ მხრიდან, სადაც იმმს ეძინა ხოლმე, გაღებული სარკმელიდან, ამაღლებული, გამაფრთხილებელი ხმით შემომესმა:

— ნინა!

თურმე ჩვენი ლაპარაკის დროს იმას აღარ ეძინა. კამათი ჩვენი ესმოდა თურმე.

მე ყველა ამით შეშფოთებული ჩავედი ძირს და ჩემს ოთახში შევვარდი. რაც ზევით მოხდა, ყველაფერი ტირილით ქმარს გადავეცი. მეტადრე იმის გაჯავრება მგვრიდა ცრემლებს. რამდენიმე ხნის შემდეგ, მობინდებულზე, შვილი მამასთან ავიდა. ვგრძნობდი, რომ მამა-შვილს უსათუოთ ექნებოდათ ამ საგანზე ლაპარაკი. ფეხ-აკრეფით, ძირის სართულის აივნიდან მაღლა ყური დავუგდე.

მართლაც არ გასულა რამდენიმე წამი და შემომესმა მისი ხმა. კარგად ვიცნობდი საზოგადოთ იმ კილოს, როგორითაც ის ახლა შვილს ელაპარაკებოდა: მტკიცედ, მოკლედ და გადაჭრით.

— კოტე, გააფრთხილე ნინა, რომ დედასთან კამათი არ შეიძლება!

შვილიც არ იყო დამშვიდებული, იმასაც გულს აკლდა, რომ ცოლი აუტირეს.

— შენ თითონ კარგათ იცი, რომ დედაჩემის ხასიათი ზოგჯერ აუტანელია!..

— ეგ თქვენი საქმე არ არის!—გააწყვეტინა უცებ სიტყვა, თქვენ არა ხართ იმისი მსაჯული!

— მაშ მონები უნდა ვიყვეთ. არაფრის პასუხი არ შეიძლება, რაც უნდა უცნაური იყოს იმისი სურვილი! მაგისთანა ცხოვრება აუტანელია! ბავშვები ხომ აღარა ვართ!

— მე მოვითხოვ მორჩილებას. სხვაფერივ ერთად ცხოვრება შეუძლებელი არის!—გაათავა სიტყვა და გატრიალდა.

იმავ დროს შვილი კიბეზე ჩამოვიდა და ორივენი ოთახში ერთად შევედით.

ერთი საათის ფიქრის შემდეგ აპბარგა ქმარმა და ორივენი იმის ბიძაშვილის ოჯახში გადავედით.

ასე უყურებდა ის ოჯახს და ასე დაგვაჯავრებდა ეს შვილებიც და თავის თავიც, ვინაიდგან, როგორც ეს შემდეგ გავიგეთ, ჩვენი წასვლის დღეს ბორჯომში, მთელი ღამე ბორგვით გაეტარებინა და მეტადრე ის თურმე აწუხებდა, რომ მშიშარა არის (ჩემზე ამბობდა) და ვინ იცის ღამე სიარულით დაიტანჯოსო.

ოჯახში უფროსის მორჩილებას ასე საჭიროდ თხოულობდა, მაგრამ არც ერთს საკითხს არ გადასწყვეტდა ისე, რომ ოჯახის ყოველ წევრს არ დაჰკითხებოდა. ჰკითხე „ასი“ა, ჰქმენ გულისაო“, იტყოდა ხოლმე და მით უმეტესად ოჯახის წევრს არ დასტოვებდა დაუკითხავად ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხშიაც კი რომელიც მას შეეხებოდა, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ან როგორც თანამდებობის კაცსა. სულ უმცროსიდან დაწყებდა შეკითხვას და იმისი აზრის მოსმენას ყოველ დაყენებული კითხვაზე.

ამას იმ მოსაზრებით სჩადიოდა, რომ იცოდა მისი საქციელის შედეგს, კარგი იქნებოდა, თუ ცუდი, მისი ოჯახის წევრებზედაც გავლენა ექნებოდა. სწორედ ასეთივე შეხედულების თვალ-საზრისით უყურებდა ის სახელმწიფოსაც. რამდენადაც ვიცი, მიმართულებით მონარქისტი იყო.

როგორღა უყურებდა ის დიასახლისს, ოჯახის ბურჯს, როგორც ის ეძახდა? რას მოითხოვდა იმისგან?—კრუხივით უნდა დასტრიალებდეს ოჯახს, ქმარ-შვილს. ყოველისფერი შინაურული საქმე, რასაკვირველია, რაც ქალს შეშვენის. ყველაფერს უნდა აკეთებდესო“,—მეტყოდა ხოლმე მაშინ, როდესაც საქმეზე დამინახავდა და თითქო ამით მახალისებდა.

როგორც ძალიან ყმაწვილს და გამოუცდელს საოჯახო საქმეშიც, ბევრი არა მეხერხებოდა-რა, მაგრამ გაკეთებ-ს სურვილს მაინც ვიჩენდი და ეს იმას ისე მოსწონდა და ახალისებდა, რომ თითონაც

ამყვებოდა ხოლმე. ბევრს გაუკვირდება ის, რომ როდესაც ზაფხულის სალამოზე მოსამსახურესთან ერთად წიწილ-კრუხს ჩასაბინავებლად შემოჯურბენდი, ისიც გაბარებული და მხიარული, ხელებ გაშლით მეხმარებოდა!

მახსოვს ერთხელ, შუაღამე იყო, ვახშამზე ვისხედით, უცებ გამახსენდა, რომ კრუხს წიწილები გამოჩყავდა და დახმარება იყო საჭირო, რომ ნაჭუჭს წიწილი არ დაეხრჩო. ვიცოდი, რომ დედაკაცი შუაღამისას იმისთვის თავს არ შეიდებდა, მაშინათვე ავდექი და საქათმეში წასვლა დავაპირე. იმან რომ ეს გაიგონა, ისე გაეხარდა ჩემი მზრუნველობა, რომ წამოდგა, სანთელი ამინთო და თითონაც თან წამომყვა. ბარაქალა, ჩემო ნინუკა, ბარაქალა!—მომმიალერსა.

ერთხელ ხილის ტყლაპის (პასტილა) კეთება მასწავლეს, მასწავლეს, მაგრამ ალბათ კარგათ ვერ ვისწავლე და ზედ გადაველიე იმის დუღილს. ვერასფრით ვერ გავასქელე. ყოველ ნახევარ საათში შემოდიოდა ჩემთან სამზარეულოში ამ საქმით დაინტერესებული.

მაგრამ როდესაც მზარეულის რჩევით ხილის სითხეს გასასქელებლად ფქვილი მოვუკიდე და რასაკვირველია ტყლაპი წახდა, ჩემს ჯავრზე ბევრი იცინა.

— რა ვუყოთ მერე, სადაც არა კეთდება-რა, არც არა გაფუჭდება-რა! მანუგეშა და გამამხიარულა.

ხაზგადაღდ დიდს სიამოვნებას გრძნობდა, როცა მე ოჯახში ვტრიალებდი და ვცდილობდი მაინც რამე გამეკეთებინა. მაგრამ იმისი წინაალმდეგი კი იყო, რომ სხვა გვარი რამ საქმე მეკეთებინა. მაგალითად, ერთხელ ვუთხარი, ძვირი ჯდება ყიდვა და შლიაპების კეთება მე თითონ უნდა ვისწავლო-მეთქა.

— შლიაპების, ფეხ-საცმელის, ხელთათმანების და სხვა ამგვარი რამის კეთება იმას მიანდეთ, ვისაც მეტი ლუკმა

ამ ნაირად ორთა შუა ვიუყლიტებით და ბრძენ ვორონცოვის პოლიტიკა: „ქართველი უნდა გარუსდეს სულითა და გულით, რომ პოლიტიკურად რუსი იყოს, მაგრამ გარეგნობით კი ესე იგი, ენით, ჯგულით, ეროვნულ ელფერით და სხვა უნდა დარჩეს ისევ ქართველად, რომ მით მათი შეკავშირება რუსეთთან უფრო მტკიცე იქნესო“ დღეს აღარავის ახსოვს... მოვა დრო, რომ ეს მოსაზრება გამართლდება!.. მაგრამ გვიანლა იქნება.

აკაკი.

წერა-კითხვის საზოგადო კრების გამო.

17 აპრილს, კვირას, დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის სადგომში მოწვეულია წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრება. განსახილველია არა წლის ანგარიში გამგეობის და სარეგიზიო კომისიის მოხსენებათურთ, 1911 წლის შემოსავალ-გასავლის საყარაულო აღრიცხვა. უმთავრესი საკითხი კი საზოგადოების თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევა.

ამაზე უნდა ვიბაასოთ და ყოველი დონე ვიღონოთ, რომ გამგეობაში მოჰყვანენ მხნე და საჭირო მუშაკნი, რომელნიც შესძლებენ ცხადად გაითვალისწინონ საზოგადოების სადაადახლა, როდესაც საზოგადოება ძალიან გაიზარდა, გაუჩნდა ფიალადური განყოფილებანი, საქმე უფრო გართულდა. ჩვენში ახრი ტრაადებს რაკი განყოფილება გაიხსნა, ამიტომ იგი თითქმის დამოუკიდებელი უნდა იყოს. ეს დიდი შეცდომაა. ბირიქით უფრო მეტი მეშაობაა საჭიროა, რომ მწყობრი საქმიანობა მოდამ საწარმოებდეს. ამისათვის საჭირო მოდამ თავლეურის დევნა განყოფილებათა საქმეების მიმდინარეობასა. ამის დრო უნდა, ხარჯი. ეს ყველაფერი მხედველობაში უნდა მიიღოს საზოგადოების წევრებმა, რომ საჭირო სიფხიზლე გამოიჩინონ ბრეზიდიუმის არჩევის დროს.

საშეუსაროდ, აქამდინ არა ისმის-რა ამ არჩევნების შესახებ ჩვენს საზოგადოებაში. კრების დღე ისე მოგვეპარა, რომ ერთი კერძო თათბირი არც კი გაგვიმართნია. თუ ადრე ადვილი იყო კამეგობის წევრების არჩევა, ახლა უფრო ძნელი შეიქმნა. კარეულებულ საქმეს ბევრი ერიდება. აგრეთვე ბევრი ინტელიგენტი იძულებით არის ამ ჯამად მოშორებული საყვარელ საქმეს. მაშასადამე უწინასწართბირად არა გვინია მოხერხდეს არჩევნების მოხდენა. მაშინ არჩევნების შემოხვევითი სასათა ექნება. ანგარიშიც აქამდის არ არის დაბეჭდილი.

თუ კამეგობის თავმჯდომარის კანდიდატზე დიდხანს არ მოგვიხდება დაპარაკი, რადგანაც შეუდი ჩვენი საზოგადოება ერთხმად დასახელებულ-დადად პატივცემულს გიორგი �ზბეგს, რომელიც თვით ითვლება ამ საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელთაგანად, სამგალეროდ თათბირის საკენ უნდა გახდეს კამეგობის წევრების კანდიდატების დასახელება. რასაკვირველია, აქაც არის რამდენიმე ბირი, ურომლისოდ ვერც კი არის წარმისადგენი ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების კამეგობა, მაგრამ რჩება კიდევ თავისუფალი ადგილი, რომელიც უნდა მივაკუთვნოთ დარსეული მოდვაწეებს. მეტადრე საჭიროა დიდის ყურადღებით მოეკიდეს კრება **სამდივნო** კაცის არჩევას. ამ ბი-

---

არსაიდანა აქვს,—მიპასუხა ამაზე.—შენი სათანებისათვის კი ოჯახში ბევრი სხვა საქმე მოუცია მოვალეობას და ის პირნათლად შესრულეთ.

აი ეს წვრილმანი ფაქტებიც ეტყობა, თუ რამდენად აფასებდა ის ქალის მეოჯახეობას.

დიასახლისის მეოჯახეობას პირადი მზრუნველობითიც ხელს უწყობდა. თითონაც ძალიან უყვარდა ამ დარგში მუშაობა. მეურნეობას დიდ ყურადღებას აქცევდა. გაეშენა მშვენიერი ბაღი და ვენახები; საუკეთესო, საზღვა-გარეთიდან დაბარებული ხეხილი დარგო. თითონ დასდევდა მებაღეს თან და მათ მოვლას ასწავლიდა. ვენახს, თავის „ზვარს“, შვილივით დასტრიალებდა. ასეც ეძახდა: „მოე დეტიშჩე“-ო.

მახსოვს, შემოდგომაზე, ვენახში დადიოდა ხოლმე და ყურძნის დასამწიფებლად ვაზს თავისი ხელით ფოთოლს აცლიდა. რთველის დროს მარანში თითონ ტრიალებდა, ამარცვლინებდა ნოემბერში დაკრეფილ, დაჩამიჩებულ, არჩეულ ყურძენს და ისე აწურვინებდა. მართლაც რომ საუკეთესო, შამპანისებურ ღვინოსაც აყენებინებდა და თვისის სტუმართ-მოყვარეობით და გულ-უხვობით დიდის სიამოვნებით და სიამაყით სტუმრებს უმასპინძლდებოდა

ამგვარად უვლიდა თვითონვე შემოსულ ხილსაც.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ნინო უფიერისა.

დიდად მნიშვნელოვანი კრება.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, 14 აპრილს, დილაშა 8 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში ბ. გიორგი თუმანიშვილის თავმჯდომარეობით მოწვეულია კრება საუნიკერსიტეტო კომისიისა. ამ კრებაზე დაესწრებიან შემომწირველი ბირები და წარმომადგენლები: კავკასიის ქალაქებისა, სავაჭრო და სამეწარმეო ორგანიზაციათა, თბილისის სამეცნიერო საზოგადოებათა და ბრესისა.

თუ თავად-აზნაურობის წარმომადგენლებში საგულისხმეოა მარტო თბილისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელი, მაშინეს არ-რის საკვირველი. ქუთაისის თავად-აზნაურობასაც უნდა ეცნობოს წარმომადგენლის გამოსაგზავნად.

კრება განიხილავს მოხსენებას: კავკასიაში უნიკერსიტეტის გახსნის საკითხის შესახებ, შემოწირულ თანხების მდგომარეობას, რა და რა ნაკლოვანი დახმარება აღუთქვეს სხვადასხვა დაწესებულებამ და კერძო ბირებმა, აგრეთვე ითათბირებს ამ საკითხის შესახებ, თუ რანაირი საშუალება შეიძლება გამოძებნილ ამ დიდი საქმის კარგად მოსაწყობად.

საჭიროა ამ საგნის შესახებ ადგილობრივი ბრესის წარმომადგენლებმა წინასწარ თათბირი მოახდინონ.

საჭიროა აგრეთვე, რომ კარგა ტფილისის ბრესის წარმომადგენლებისა, მოიწვიოს აგრეთვე მთელი კავკასიის ბრესის წარმომადგენლეიტ.

შემოწირული ერთდროულად არის 1.491.500 მანეთამდინ; ყოველ-წლიური დახმარება აღთქმულია 56.300 მ.

იმედია, ეს კრება ეგვლა საკითხის გულდასმით განიხილავს, საქმეს არ დაეყოვნებს, რომ დროზე მიაწვდინოს თავის სამეუფოს მოაგრობას.

საღვთისმეტყველო საჩუქარი.

მანდილოსანთა წრემ, რომელიც წერაკითხვის საზოგადოებასთან მუშაობს, სწორედ თვალსაჩინო საჩუქარი უძღვნა მკითხველ საზოგადოებას.

ამ წრემ გამოსცა ჩვენი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის სრული თხზულება. ეს წიგნი გამოვიდა ამ დღეებში და დაურიგდა ხელის მომწერლებს.

წიგნის ყიდვა გარეშეთაც შეუძლიანთ, მხოლოდ 1 მ. 25 კ. უნდა გადაიხადონ. წიგნში მოთავსებულია ეკატერინე გაბაშვილის სურათი, ბიოგრაფიული ცნობები, აგრეთვე ჩვენი კრიტიკოსის კიტა აბაშიძი-

---

ოთი წლის ჯვარ-დაწერილი ვიყავი. ...ილევი ხანი იყო, ძირის სართულიდან მაღლა ავედი. ამ დროს იმას ყოველთვის აივანზე ეძინა. გამოღვიძებულს ...ამსახურე საკუთარი ბაღის ხილს და ...ნაურ ღვინოს მიართმევდა და ძალიან ...ეყარდა, როდესაც იმ დროს ჩვენც გარს შემოვუსხდებოდით და შინაურ საქმეებზე ...ელაიფებოდით.

...ალა რომ ავედი, სახლის მეორე აივანზე ...ენებული ჩემი დედამთილი დაბერებული და მაშინვე გაჯავრების კილოთი ...ბრა:

— შენ რომ წეღან წახვედი სადღაც ...ენ შენმა გოგომ წამოსასხმი მოგიტანა, ...ეწარდ იმ დროს დამჭირდა; ვუძახეთ, მაგრამ თურმე ტყუილად ვუძახდი, ...ენ ის შენთან წამოსულიყო. რომ ეს ...ეფორდეს, მე უნდა ყოველთვის ...ეფიდე, რა დროს სად იქნება გოგო!

...ბოლოებული და დიდათ პატიოსანი ...ადამანი ჩემი დედამთილი, თავ-დადებული ...ელი ცნობილი იყო როგორც ...ეფიზერი ხასიათის ადამიანი. ამ მხრივ ...ენ ჯერ ისე კარგად ვერ ვიცნობდი, ამიტომ სიმინლოთ გამაკვირვა ასეთმა მოთხოვნილებამ და ვეცადე საქმე გამომერკვია.

— ...ერი, მაგრამ ათიოდე წამის საქმეა, ...ოდგომათ რომ ყოველთვის აქ ...ოვიდეს შესატყობინებლად, აქა და აქ ...ეფენთ, საქმე როდისღა გააკეთოს? და ...ამისთანის მოტანას ხომ ათი წამიც არ ...ოუნდებოდა?

— ...ენ ჩემი საქმე არ არის, მე ...ენდა ...ოდე სად იქნება!—მიპასუხა გადაჭრით ...ედამთილმა.

— ...ენ სულ აქ იყოს თქვენთან. მაგ...ენ სამსახური მოუხერხებელია.—ვუ...ეე ეს და აივნიდან სასტუმროში შე...ენ, რომ იქიდან დერეფანზე გავლით ...ენ სართულში ჩავსულიყავ.

...ოგორც კი შევსდგი ფეხი ოთახში,

ასე უყურებდა ის ოჯახს და ასე დაგვაჯავრებდა ეს შვილებიც და თავის თავიც, ვინაიდგან, როგორც ეს შემდეგ გავიგეთ, ჩვენი წასვლის დღეს ბორჯომში, მთელი ღამე ბორგვით გაეტარებინა და მეტადრე ის თურმე აწუხებდა, რომ მშიშარა არის (ჩემზე ამბობდა) და ვინ იცის ღამე სიარულით დაიტანჯოსო.

ოჯახში უფროსის მორჩილებას ასე საჭიროდ თხოულობდა, მაგრამ არც ერთს საკითხს არ გადასწყვეტდა ისე, რომ ოჯახის ყოველ წევრს არ დაჰკითხებოდა. ჰკითხე „ასი“ა, ჰქმენ გულისაო“, იტყოდა ხოლმე და მით უმეტესად ოჯახის წევრს არ დასტოვებდა დაუკითხავად ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხშიაც კი რომელიც მას შეეხებოდა, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ან როგორც თანამდებობის კაცსა. სულ უმცროსიდან დაწყებდა შეკითხვას და იმისი აზრის მოსმენას ყოველ დაყენებული კითხვაზე.

ამას იმ მოსაზრებით სჩადიოდა, რომ იცოდა მისი საქციელის შედეგს, კარგი იქნებოდა, თუ ცუდი, მისი ოჯახის წევრებზედაც გავლენა ექნებოდა. სწორედ ასეთივე შეხედულების თვალ-საზრისით უყურებდა ის სახელმწიფოსაც. რამდენადაც ვიცი, მიმართულებით მონარქისტი იყო.

როგორღა უყურებდა ის დიასახლისს, ოჯახის ბურჯს, როგორც ის ეძახდა? რას მოითხოვდა იმისგან?—კრუხივით უნდა დასტრიალებდეს ოჯახს, ქმარ-შვილს. ყოველისფერი შინაურული საქმე, რასაკვირველია, რაც ქალს შეშვენის. ყველაფერს უნდა აკეთებდესო“,—მეტყოდა ხოლმე მაშინ, როდესაც საქმეზე დამინახავდა და თითქო ამით მახალისებდა.

როგორც ძალიან ყმაწვილს და გამოუცდელს საოჯახო საქმეშიც, ბევრი არა მეხერხებოდა-რა, მაგრამ გაკეთებ-ს სურვილს მაინც ვიჩენდი და ეს იმას ისე მოსწონდა და ახალისებდა, რომ თითონაც

ამყვებოდა ხოლმე. ბევრს გაუკვირდება ის, რომ როდესაც ზაფხულის სალამოზე მოსამსახურესთან ერთად წიწილ-კრუხს ჩასაბინავებლად შემოჯურბენდი, ისიც გაბარებული და მხიარული, ხელებ გაშლით მეხმარებოდა!

მახსოვს ერთხელ, შუაღამე იყო, ვახშამზე ვისხედით, უცებ გამახსენდა, რომ კრუხს წიწილები გამოჩყავდა და დახმარება იყო საჭირო, რომ ნაჭუჭს წიწილი არ დაეხრჩო. ვიცოდი, რომ დედაკაცი შუაღამისას იმისთვის თავს არ შეიდებდა, მაშინათვე ავდექი და საქათმეში წასვლა დავაპირე. იმან რომ ეს გაიგონა, ისე გაეხარდა ჩემი მზრუნველობა, რომ წამოდგა, სანთელი ამინთო და თითონაც თან წამომყვა. ბარაქალა, ჩემო ნინუკა, ბარაქალა!—მომმიალერსა.

ერთხელ ხილის ტყლაპის (პასტილა) კეთება მასწავლეს, მასწავლეს, მაგრამ ალბათ კარგათ ვერ ვისწავლე და ზედ გადაველიე იმის დუღილს. ვერასფრით ვერ გავასქელე. ყოველ ნახევარ საათში შემოდიოდა ჩემთან სამზარეულოში ამ საქმით დაინტერესებული.

მაგრამ როდესაც მზარეულის რჩევით ხილის სითხეს გასასქელებლად ფქვილი მოვუკიდე და რასაკვირველია ტყლაპი წახდა, ჩემს ჯავრზე ბევრი იცინა.

— რა ვუყოთ მერე, სადაც არა კეთდება-რა, არც არა გაფუჭდება-რა! მანუგეშა და გამამხიარულა.

ხაზგადაღდ დიდს სიამოვნებას გრძნობდა, როცა მე ოჯახში ვტრიალებდი და ვცდილობდი მაინც რამე გამეკეთებინა. მაგრამ იმისი წინაალმდეგი კი იყო, რომ სხვა გვარი რამ საქმე მეკეთებინა. მაგალითად, ერთხელ ვუთხარი, ძვირი ჯდება ყიდვა და შლიაპების კეთება მე თითონ უნდა ვისწავლო-მეთქა.

— შლიაპების, ფეხ-საცმელის, ხელთათმანების და სხვა ამგვარი რამის კეთება იმას მიანდეთ, ვისაც მეტი ლუკმა

საგან დაწერილი მწერალ-ქალის საინტერესო კრიტიკული დახასიათება. წიგნში 600 გვერდზე მეტია.

ეს წიგნი საიუბილეო გამოცემაა. როგორც ახლა გადაწყდა, იუბილეს დღედ დანიშნულია 23 აპრილი. მანდილოსანთა წრე დიდის ამბით ემზადება ამ დღისათვის.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშიაც მზადებაა. აპირებენ დეპუტაციების და მოსალოც დეპეშების გამოგზავნას.

ახალი ამბები

✦ დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთობაში სახელმწიფო სათათბიროში გრ. უვაროვის მიერ გამომეღავნებულმა ამბავმა, რომ ებრაელების გამოჩენილმა ფილანტროპმა ბარონმა გირშმა ერთი მილიონი მანეთი გადასცა მთავრობას მართლმადიდებელ სამღვდელოების საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ეს შემოწირულება, როგორც ახლა გამოირკვა მოხდა განსვენებულ მდიდარ მოსკოველ ებრაელის სამუილ პოლიაკოვის მეოხებით. ამ უკანასკნელს მოლაპარაკება გაუმართნია თვით კონსტანტინე პობედონოსცევთან. სამაგიეროდ მთავრობას ზოგიერთი შეღავათი უნდა მიეცა ებრაელებისათვის საზღვარ-გარეთ გადასახლების გამო. მართლაც, პობედონოსცევმა ზოგი დანაპირები შეასრულა, მხოლოდ ზოგი კი არა.

✦ მთელ რუსეთში 20 აპრილს გაიმართება „ტუბერკულოზის დღე“—ქლერქის დღე. ამ დღეს ყველგან წაიკითხავენ ლექციებს ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების შესახებ. საზღვარ-გარეთის ჩვეულების მიხედვით ამ დღეს ამ იდეის თანამგრძნობთ ხელში ექნებათ თეთრი ყვავილი. წლეულს ამისათვის არჩეულია მინდვრის გვირილა. ამ ყვავილს გაჰყიდიან ქუჩებში. რასაკვირველია, ამ აზრით გამსჭვალული ბევრი იქნება და მაშასადამე შემოსავალიც დიდი იქნება. ეს შემოსავალი უნდა გადაეცეს **მთელ რუსეთის ლიგას**, რომელიც დაარსებულია ამ ულმობელ სენთან საბრძოლველად. თბილისშიაც გაჰმართავენ ამ დღესასწაულს სხვა და სხვა ადგილას წაიკითხავენ ლექციებს, გაჰყიდიან ყვავილებს და სხვ.

✦ გორში, როგორც ამბობენ, ერთ ბოქაულის თანაშემწეს კ—ს გაუფლანგავს ის ფული, რომელიც შეუკრეფნია მკვიდრთაგან სხვა და სხვა გადასახლების აკრების დროს. ახლა ამათ მხრით დიდი უკმაყოფილება ისმის, რადგანაც მეორედ უხდებათ ფულის გადახდა. ნუთუ აქამდინ ვერ შეიგნეს, რომ სენატის განმარტებით ამ შემთხვევაში კანონი არ ანთავისუფლებს გარდასახადის მიმცემს მეორედ ფულის გადახდისაგან?..

✦ ამას წინად თბილისის ხმოსანს გ. ხატისოვს გაზ. „ზაკავკაზიეში“ შენიშნეს, რომ არ იყო საკადრისი მისთვის, რომ ჩაჩნებს თავის სიტყვაში „ჩუმაზები“ (ეს რუსული სიტყვა „შუქყიანს“, „ტყაპუქიანს“ ნიშნავს) უწოდაო. ახლა იმავე გაზეთში გ. ხატისოვი ბრძანებს, რომ ეს სიტყვა ასე არ წარმომითქვამსო, მე მხოლოდ ხმოსან კონსტანტინე ჯაფარიძის აზრის დასარღვევად **ირონიულად** ვსთქვი, რომ საგუბერნიოს საკრებულოს „ჩაჩნებმა“ ბ. ჯაფარიძეს „ჩუმაზებში“ ამოჰყვეს თავიო. არა მგონია, ისეთი თავის მართლება საკადრისი იყო ვისთვისმე, რომ სხვას გადაბრალოს ბრალდებულმა დანაშაული. ჩვენც მოვისმინეთ ორივე ხმოსნის სიტყვები. ბ. კონსტანტინე ჯაფარიძის სიტყვიდან სრულებით იმ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლებოდა, როგორც ამას გ. ხატისოვი ჰბრძანებს.

✦ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ მოკლე ხანში სენატში გაირჩევა უზარმაზარი საქმე „დაშნაკციუტუნის“ პარტიის შესახებ. ამისთანა პროცესი ძალიან იშვიათია. ახლა იტალიაში ირჩევა „კამორრისტების“ პროცესი, მაგრამ, დაშნაკცაკანების პროცესი უფრო დიდია ბრალდებულთა და მოწმეთა სიმრავლით. თავის დროზე გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს ამ პროცესის შინაარსს. ბევრი ბრალდებული ქ. ნოვოჩერკასკის ციხეში სხედან, სადაც ახლა თურმე საოფლე და სხვა სახადები მძვინვარებს. დაშინებულ ნათესავებს მიუმართავთ იუსტიციის მინისტრისათვის და უთხოვიათ თავმდებობის და გირაოს საშუალებით ბრალდებულთა განთავისუფლება. ვნახოთ, შეიწყნარებენ თუ არა ამ სამართლიან თხოვნას?..

✦ იერომონაქი ილიოდორე ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ისევ ცარიცინში დაუტოვებიათ.

✦ როგორც ახლა იწერება ად. სტასიო�ი, კავკასიონის უდელ-ტეხილზე რკინის გზის გაკეთების საქმეს ბევრი ოსმაგრძნობელი არ აღმოუჩნდა სათათბიროში. თვით კადეტების უმრავლესობაც კი როგორღაც უფრთხის, თუ რამე ამ საქმეს. ეშველას ჭკონია, რომ ეს საქმე დიდ ხარჯს მოითხოვს ამბანებთ აგრეთვე ოტ-ვერსტიან გვირაბის გაკეთებაზე. ერთადერთი ძლიერი მოსარჩლე ამ გზის გაკეთებისა ეოფილა ყარსის გზის გაკეთები ინჟინერი ეგენ ვურტელი, რომელსაც ახლა ახალ გზათა გაკეთების მთავარ სამმართველოს გამგის ადგილი უჭირავს. ვნახოთ, რას გააწყობს მარტოდენ ბ. ვურტელი ამ ჩვენი მხარისათვის საჭირო საქმეში. დეპუტატების უმრავლესობა, თურმე, თანუგრძნობს უფრო შავი ზღვის რკინის გზის გაკეთებას.

✦ რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ბ. სტოლიპინს სახელმწიფო საბჭოში ლაპარაკის დროს აღელვება ეტყობოდაო. სიტყვას უწუნებენ. პროფესორ მ. კოვალევსკის სიტყვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმისთანა დიდ უმრავლესობას არავინ არ მოელოდა. ეპისკოპოსები ნიკონი და ნიკოლოზი, დურნოვო და ტრეპოვი, რომ დასწრებოდნენ, მაშინ ორი მესამედი ხმა იქნებოდა მეორავარ ministრის წინააღმდეგ, რომელსაც სხვა შედეგი მოჰყვებოდა. „როსსია“ და „ნოვოე ვრემია“ რისხვით იხსენიებენ საბჭოს განაჩენს და მხარს უჭერენ ბ. სტოლიპინს.

✦ ჟაღდმეოსი ნიკოლოზ მარრი მადის საზღვარ-გარეთ აღმოსავლეთის შესახებ ხელ-ნაწერების გამოსაკვლევად რუსეთის მეცნიერებთა ჟაღმეის მინდობილობით. კარგი იქნება, რომ ბატონეულმა მეცნიერი ჩვენც გვესტუმროს და რამდენიმე საკარო ლექცია წაგვიკითხოს ქართულ სიტყვიერების თუ ისტორიის რომელიმე საკითხის შესახებ.

✦ მხატვარ ეისნერს, რომელმაც მარშანიმოგზაურა ავხაზეთსა და სვანეთში, 28 მარტს ვენერბურგში „რუსულ საკრებულოს“ დარბაზში გამოფენა გაუმართავს თავის ნახატების, ჯვარულების. გამოუფენია იქვე ძველი ქართული მონასტრების და ტაძრების ფოტოგრაფიული სურათები, აგრეთვე სურათები მეგიდრთა სხვა და სხვა ტიპიური სახეებისა. მხატვარს წაკითხულ რეფერატში უთქვამს, რომ ბევრი საინტერესო ნაშთები მოიძებნება საქართველოში, მხოლოდ შესაფერ ყურადღებას არ აქცევენო, რუსის ბერები ძალიან უდიერად ეპერობიან ამ ნაშთებსაო. მაგალითად, წინამძღვარმა დედა დოსითეამ, რომელმაც დაიფლო ავხაზეთში ერთი მონასტერი—ძველი ბატრიარქის სამოფლიო, მხატვრულად გაკეთებული მარმარილო დამტვრევინა და სამაგიეროდ ტალანი ხის ნაშენი გააკეთებინაო. კითხვის შემდეგ მომდერდა ბ. ამირჯანს უმღერია ქართულად და რუსულად, აგრეთვე უტეკვნიათ ლეკური, კინტოური და სხვ.

✦ საგუბერნიო საკრებულომ 5 აპრილს განიხილა თბილისის საბჭოს დადგენილება 3 საარჩევნო უბნის დაწესების შესახებ. საკრებულომ გადასწყვიტა ქალაქი დაეყოს 11 საარჩევნო უბნად. ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებმა ნ. ბ. კოჩაკვამ და ტ. ა. ენფიანჯიანცმა ცალკე აზრი წარადგინეს. როგორც საკრებულოს კარდაწყვეტილება, ისე ქალაქის საბჭოსი წარედგინება მეფის მოადგილეს უკანასკნელ მსჯავრის დასადებად.

✦ 28 მარტს სათათბიროს ცალკე კომისიამ ხელ-ახლა უყურადღებოდ დასტოვა წინადადება დეპუტატ კარლო ჩხეიძის არჩევნების გაუქმების შესახებ. თბილისის საგუბერნიო საკრებულოს სენატიდან საქმის დაბრუნების შემდეგ ხელ-ახლა განიხილა საკითხი, რამდენად კანონიერად იყო არჩეული კ. ჩხეიძე დეპუტატად და დადგინა უკანონო ტენზის გამო გამოირიცხოს კ. ჩხეიძე საარჩევნო სიიდან.

✦ ამ დღეებში ციხიდან გაანთავისუფლეს ექიმი ალექსანდრე მადალაშვილი, რომელმაც სამსჯავროს მიუსაჯა ორი წლით დაპატიმრება ბათუმში ერთ პოლიტიკურ საქმეში მონაწილეობის მიღების გამო.

ექიმი ალექსანდრე მადალაშვილი მოუწოდებს ტუსაღთა მონდობილებით ქვეყან-მომქმედ პირთ, საზოგადოებათ, ავტორებს და გამომცემელთ დახმარება აღმოუჩინონ მეტეხის ციხის ბიბლიოთეკის წიგნების შეძენაში. წიგნებს იღებენ თვით ციხეში.

✦ ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ვიატკის გუბერნიაში კარადაგადა ჩვენს საზოგადოებაში კარკად ცნობილი მსწავლებელი თომა კეკლიშვილი. მეტადრე მას დიდი გავლენა ჰქონდა ქიზიყში. ვიატკის „გუბერნიაში გაგზავნილი იყო ადმინისტრატიული წესით. მას ბრალსა სდებენ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდაო. თომა კეკლიშვილი ჩვენს ჟურნალ-კაზეთებშიაც იღებდა მონაწილეობას. თავის სიტყვებში დიდი ტანჯვა და მწუხარება გამოუქვამია.

✦ შაბათს, 16 აპრილს ახალგაზდა პოეტი ი. გრიშაშვილი დასდგამს „ღალატს“. მომქმედის პირების როლები განაწილებულია ჩვენი მწერლების და საზოგადო მოღვაწეთა შორის. სულეიმანის როლს შეასრულებს ალექსანდრე ყანჩელი, ოთარ-ბეგის—იოსებ მაჭავარიანი, ანანიას—გრიგოლ ყიფშიძე, ირაკლის—შალვა მესხიშვილი, საბას—სვიმონ ყიფიანი, ბესოს—სოფრომ მგალობლიშვილი, ყარა-უსუფის—დიმ. დუმბაძე. ქალების როლი კი ასეა განაწილებული: ზეინაბის როლს ითამაშებს არტისტი ქალი ვ. რონელი, რუქაიას—სცენის მოყვარე ნ. კონსიოტისა, გაიანეს—არტისტი-ქალი ო. ლეკვეა, ისაბარის—ჩვენი პოეტი-ქალი განდეგილი, მაიკოს—სცენის მოყვარე ვ. კორინთელისა.

უეჭველია ხალხი ბლომად დაესწრება ამ საინტერესო წარმოდგენას.

✦ „თავისუფალ სიყვარულის ლიგის“ საქმე ისე დასრულდა, რომ „ლისტოკოპეიკის“ თანამშრომელი ცნობილი ეუარნალისტი ლევან ყიფიანი მისცეს სამართალში. პროკურორის მიერ უკვე შედგენილია საბრალმდებლო ოქმი. გამოხმობილია მოწმად 33 კაცი თბილისის საზოგადოების სხვა და სხვა წრიდან; ამათში 18 აქაური სასწავლებლების მოწაფე ქალვაჟია. საქმე გაირჩევა თბილისის საოლქო სასამართლოში. ლევან ყიფიანს განაცამართლებენ სასჯელთა დებულების ძალით. ეს კანონი ღალადებს შემდეგს: დამნაშავე, რომელიც პრესის საშუალებით გაავრცელებს ცრუ ხმებს, რომელსაც შეუძლია ააღელვოს საზოგადოება, მართებლობის რომელიმე განკარგულების, ან საზოგადო უბედურების ან სხვა ამბის შესახებ, ის დაისჯება საპატიმროში დამწყვდევით 2 თვიდან 8 თვემდე, ან არესტით არა უმეტეს 3 თვისა, ან ფულის გადახდევინებით არა უმეტეს 300 მანეთისა.

✦ ჩვენ გადმოგვცემენ, რომ კახეთის რკინის გზის ლიანდაგი ეკონომიის გულისათვის ისე მიჰყავთ, რომ ქიზიყი ლიანდაგის გარეშე რჩებაო. ამბობენ, რომ ცალკე შტოს გაიყვანენო. თუ ეს ხმა გამართლდა, სწორედ მეტად სამწუხარო ამბავი იქნება.

✦ სამშაბათს, 12 აპრილს, ქართულ თეატრში წარმოადგენენ პირველად ახალგაზრდა შეერლის გიორგი ფოცხვერაძის 4-მოქმედებიან ახალ პიესას „ცხოვრების გარეშემო“.

✦ წერა კითხვის საზოგადოების წლიურ კრება გადადებაა 21 აპრილისათვის.

✦ კვირას, 17 აპრილს ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში ნაფიცი ვექილის თანაშემწე ა. ზ. ღვალაძე წაიკითხავს ლექციას რუსულათ შემდეგ თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოსი უძველეს დროს და თამარ მეფის შემდეგ: მოკლე ეთნოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები ქართველი ტომის შესახებ; 2) ომები და ვაჭრობა საქართველოსი წინა აზიის უძველეს სამეფოებთან; 3) გავლენა რომისა, ბიზანტიისა და არაბებისა ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაზე; 4) თამარის მეფობა; 5) ქართველების ევროპოლეობა მონღოლებისაგან და სელჯუკებისაგან; 6) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა დაყოფის შემდეგ რუსეთთან შეერთებამდის. ადგილების ფასები 5 კ.—50 კ. ლექცია დაიწყება $12^1/_2$ საათზედ.

ქართული სასულიერო კონცერტი.

კვირას, 27 მარტს მეფის მოადგილის სასახლის დიდ დარბაზში იყო გამართული ქართული სასულიერო კონცერტი. პროგრამაში ამ კონცერტისა შესდგებოდა ორი განყოფილებისაგან. პირველში იყო მოქცეული:

1) ნათელი მხიარული, ქართულ-კახური კილო;

2) მოვედით თაყვანის ვსცეთ, ოთხმაზე, კლენოვსკისა;

3) წყალობა მშვიდობა, ქართულ-კახური დაწერილი იპოლიტ-ივანოვისა;

4) წმიდაო, წმიდაო, ოთხმაზე, კლენოვსკისა;

5) ნეტარ არს კაცი, მონასტრული, დაწერილი კარგარეთელისაგან;

6) ადიდო, ხალხური;

მეორეში: 1) განმანათლებელი შენი, ქართულ-კახური დაწერილი იპოლიტ-ივანოვისაგან;

2) შენ გიგალობთ, ოთხმაზედ, ფალიაშვილისა;

3) დიარს არს, ოთხმაზე, მისავე;

4) აქებდით, ოთხმაზე, კლენოვსკისა;

5) კურთხეულ სარ, ოთხმაზე მონადირაშვილისა;

6) დიდება მაღალთა შინა, ოთხმაზე, ბენაშვილისა.

ქართული სასულიერო კონცერტი ჩვენში იშვიათი მოვლენა და ამიტომ დიდი საზოგადოება მოიზიდა, სმეტნაკად ადგილმა, სადაც გრაფის ვორონცოვის და მისის მეუღლის გარდა, იყვნენ უმაღლესნი პირნი, როგორც სამხედრო წოდებიდან, ისე სასულიერადგან—ეგზარხოსიც დასწრო და აგრეთვე მრავალი ქართველი საზოგადოება. დიდის გმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ კონცერტს, ჯერ როგორც იშვიათს მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში და მერე, როგორც საგალობლების ხელოვნურად შესრულებისათვის. ხორო საუცხოოდ იყო მომზადებული. როგორც ეტყობა, დიდი შრომა დაუდვიათ როგორც ლოტბარს ბ. იდია კარგარეთელს, ისე თვით ახალგაზრდა მგალობელთა. ხორო წარმოადგენდა ტოტხალს ორგანს. ხმა-შეწყობილობა იქამდინ თანსწორი იყო, რომ სრული მთლიანობა ეტყობოდა. ტენიკა იშვიათი იყო. ისე კარგად მომზადებული ხორო ტფილისში ჩვენ არ გვინახავს. ტენორები ამ ჭასაში—16—18 წ. ძნელად შესძლებენ ისე სუფთად ხმის აღებას, თუ იმთა დიდი ხნის ვარჯიშობით არა აქვთ თავიანთი სოფქული დაზეპირებული. ნიუანსებიც თავთავის დროს იყო გამოყენანილი. მაგრამ მიზეზი რა იყო, რომ ისე კარგად მომზადებულმა ხორომ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა? სამქო ის არის, რომ ეს ხორო შესდგებოდა ერთგვარი ხმებისაგან და აქ აღნიშნული ოთხხმიანი საგალობლები დაწერილია ნარეკი ხორასთვის ე. ბ. იმისთანა ხორასთვის, სადაც ვაჟების ხმების გარდა ქალების ხმებიც იღებენ მონაწილეობას. ის საგალობლები, რომ ამისთანა ხორითი ეგალობნა, მაშინ შთაბეჭდილება ერთი ათად უკეთესი იქნებოდა. რადგანაც სემინარიაში ამნაირი ხორო არ არის, ამიტომ ბ. ლოტბარი იძულებული იყო ვაჟის ხორითი აღესრულებინა ეს საგალობლები. თუ განებავთ, რომ შერეული ხორასთვის დაწერილი საგალობლები აგალობოთ ერთგვარ ხმებიან ხორს, მაშინ ამ საგალობლების გადაკეთება დასჭირდება. როგორც აუტორთა ეთიკა მოითხოვს, სხვის ნაწარმოების გადაკეთება აკრძალულია აუტორის ნება დაურთვეულად. ამიტომ უთუოდ ბ. კარგარეთელმა ის საგალობლები არ გადააკეთა თავის ხორასთვის. იქნება სთქვან, მაშინ სჯობდა სულ თავი დაენებებინა ბ. კარგარეთელს შერეულ ხორასთვის დაწერილ საგალობლების შესრულებისათვის. კარგია, მაგრამ მაშინ ისევ ამ-ხმიანი ძველი საგალობლები დარჩებოდა და უფრო ნაკლები ინტერესი ექნებოდა კონცერტს. ვისაც კი ინტერესებს ჩვენი საეკლესიო გალობის საკითხი, მისი წინმსწავლობა და პროგრესი ე. ი. მისი გაოთხმიანება, შეკეთება, გალამაზება და გაშალაშინება, მხოლოდ უეჭველად ისე კი, რომ ქართული გალობის თავისებურობა, ხასიათი და სტილი დატოვებულ იქმნა,—ის უნდა ცდილობდეს, მოისმინოს, რაც კი ახალი რამ დაწერილა, ან გადაკეთებულა ამ დარგში. ამ აზრით იყო უთუოდ შეტანილი პროგრამაში ახალი ნომრები.

ი. მონადირიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

განცხადება

ექიმი
გ. ფ. ნათიშვილი
სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.
დადით 11 ნახ. ს.—1 ს. სადამ. 7—8 ს.
ადრესი: მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ.
ტელეფ. 487.

რ ჩ ე უ ლ ი
პედაგოგიური და პუბლიციტური ნაწერები
იაკობ გოგებაშვილისა. ტომი პირველი. წიგნი დიდი ტანისაა, იპყრობს 560 გვერდს წინასიტყვაობით შეიცავს ამ სტატიას საჟურნალოს და საგაზეთოს ღირს **ერთ მანეთად.** ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში და ყველა პროვინციალურს განყოფილებაში „წერაკითხვის საზოგადოებისა.“

განსაკუთრებით მოწყობილი საოჯახო ახლად შეკეთებული ნომრები
მუხრანი
გოდოვინის პროსპექტი, სახლი მანთაშოვისა.
✱ დღე და ღამეში 70 კაპ. 5 მანეთამდე. თვიურად 15 მ. 100 მანეთამდე ✱
მრავალ ოთახებს აივნები და ფანჯრები აქვს ქუჩისკენ.
ოთახები მდიდრულად არის მოწყობილი; **ელექტროენით არის განათებული;**
ცხელი და ცივი ვანნები; მოსამსახურეები ზრდილობიანი და მარდნი არიან.
არის აგრეთვე კომისიონერი
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი 499.

ამხ. **მ. ლალიძის** და **კ°**
ხელოვნურ მინერალურ, ხილისა და სამკურნალო წყლების ქარხანა.
თფილისი, გოლოვინის პროსპ. 6. ტელეფონი № 441.
ეს წყლები კეთდება განსაკუთრებით ბუნებრივ, ქიმიურად გაწმენდილ და არჩეულ. ხილის წვენიდან ✱ თვით წყალისრულიად განწმენდილი და გაფახდილია.
წყალი კეთდება მანქანა ვაკუმით სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.
მომხმარებელთ შეუძლიანთ დარწმუნდნენ, რომ ჩვენი წყლები მშვენიერი გემოსია და ბევრი ადგილი სუნნელებისა.
თფილისის გუბერნიის გამგეობის სანქციონ ნებართვით დამტკიცებულია, რომ ჩვენი ფირმის წყლები არის
ყოველად კეთილი თფილისისა
ვაფრთხილებთ მკითხველებს, რომ ზოგიერთი ვაჭრები სხვა ქარხნების იაფ წყლებს ჩვენს წყლებში სცვლიან.
ეგრეთ წყლები მოითხოვეთ
მ. ლალიძისა და **კ°** ამხან. **ქარხნისა.**
ეურადღება მიაქციეთ ბოთლის სტიქრს, რომელსაც ასვია ჩვენი ფირმის დადი.
ფირმა დაჯილდოვებულია წყლების კარგი თვისებისათვის ოქროს დიდი და ვერცხლის მედლებით.

ფირმა **„ნ. ლგოტაკი“.**
თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 38. „რაზგონი“ ფოშტის პირდაპირ.
ველოსიპედები, მოტოციკლები, პატეფონები,
ავტომობილები, ფირფიტები, სასრიალოები, ლაუნ-ტენნისი, ფუტბოლი, საკერავი მანქანები, ელექტრონის ზარები. ყველა ამაების საჭირო ნაწილები და კუთვნილებანი. **ავტომობილებისათვის ზეთი და საცხებელი.**
პირველხარისხოვან ფაბრიკების სავაჭრო. **ფასები კონკურენციის გარეშეა.**
✱ ფასის გადახდა **ნაწილ-ნაწილ შეძლება.** ✱
კატალოგები უფასოა. ნაქონი ველოსიპედები **25** მანეთიდან.
გუაჩიძე, სტეფანოვი და კომპ.

გაიხსნა ტექნიკური და ელექტროტექნიკური კანცორა
მატერიალური საწყობით
„დვიგატელ“
ვ. ულიჯანოვი, ნ. როსტომაშვილი
და ამხ.
(გოლოვინის პრსპ. № 38, „რაზგონი“ ფოსტის პირდაპირ).
მიიღება ყოველგვარი ტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაო. მოწყობა ელექტრონის სადგურებისა. გამართვა ელექტ. განათებისა. სიგნალიზაცია—ტელეფონი—ელ. ზარები. ელექტრონული სეტყვის ამტანები და სხვ.
(ГРАДООТВОДЫ)
ბევრნაირი ელექტრონული ეკონომიური ლამპებია ასარჩევი.

წიგნის მაღაზია
„ნოვაია რეჩ“ [ახალი სიტყვა]
ი. დ. კიკნაძისა.
მაღაზია მუდამ იღებს ახლად გამოსულ წიგნებს.
არდგენს საჯარო, საყმაწვილო, სასკოლო, საფაბრიკო ბიბლიოთეკებს და სხვ.
სხვა ადგილებიდან დაბარებას ორი დღის განმავლობაში ასრულებს მაღაზია
თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მარზოევისა, № 22.

თფილისის ოლქის სასამართლოსთან დაარსებულია ნაფიც ვექილებისა და მათი თანაშემ
კონსულტაცია
ძველენ რჩევას სატყვეარათ და წერილობით, აგრეთვე არდგენენ არზებს, სასჩივრ სხვა საჭარო ქადაღდებს.
ღიაა ყოველ დღე, უქმეების გარდა 10 საათიდან დღის 2 საათამდ
✦ ✱ ✦ ღარიბებს ფული არ ერთმევათ ✦ ✱ ✦
ახალი წიგნების ბიბლიოთ
სასახლის ქუჩა, თავადაზნაურობის სახლი, ეზოში, მეორე სართული, მარჯვნივ № 12
ყველა ახალი წიგნი რუსულ ენაზე შეიძლება დაიკვეთოს მსურვ
წ ა ს ა კ ი თ ხ ა დ.
სამი დღით . . . . . 10 კაპ.
ერთი თვით . . . . . 75 კაპ.
ბედ უნდა დასტოვოს წამღებმა 1 მან.

ელექტრო-ბეჭდვა სტამბა „გერმესი“ მუხრახის ქუჩ. № 13.